პეტრე გელხვიიძე

ჩემი ცხოვრების მარგალიტები

(აზრები)

20-ქუთაისი-20

პეტრე გელხვიიძე –ჩემი ცხოვრების მარგალიტები (აზრები)

წინამდებარე წიგნი, წიგნად ჩაფიქრებულიც არ იყო თავის დროზე ავტორის მიერ, ის ყოველგვარი პერიოდულობის დაცვის გარეშე, იწერდა სხვადასხვა მოვლენებითა და განწყობით გამოწვეულ აზრებს. ზოგი, დროზე ჩაუწერელი, იკარგებოდა კიდეც. მაგრამ ერთხელ, გადაკითხულმა სტრიქონებმა თვითონვე დააინტერესა და ჩაიფიქრა გაეცნო ჩანაწერები ჯერ ოჯახის წევრებისა, შემდეგ კი მეგობრებისათვის, რათა გაეზიარებინათ მისი გრძნობები გამოწვეული ამ უცნაური, თითქმის შეუცნობელი სამყაროს მიერ, და არ შემცდარა!

მკითხველი, რომელიც ბოლომდე გაჰყვება ავტორის აზრებს, თავისთვის მრავალ საინტერესო რამეს მიაგნებს.

რედაქტორი: გია ხოფერია

© -პ.გელხვიიძე; 2020

/ნააზრალზე/

ხშირად ადამიანები, გაუცნობიერებლად, ინსტიქტების დონეზე წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას; იწყებენ რაღაცის შეგროვებას: ზოგი ფულს, ზოგიც ოქროს და ძვირფას ნივთებს და კიდევ ვინ იცის ვინ რას. თავი ავწიე და ჩემ თავს ვკითხე "მე" სად ვარ ამ დროს და რით ვარ დაკავებული, ან თუ ვარ საერთოდ ამ ქვეყნად, თუ ილუზიების ბურუსით მოცულს დამვიწყებია ამქვეყნიურობა და დამიწყია ზეციური მარგალიტების ძებნა. ძებნა დღისით თუ ღამით; შინ თუ გარეთ; ნათელსა თუ ბნელში; ავდარსა თუ დარში; ტყეში თუ ღრეში; ქალაქში თუ სოფლად; ქუჩაში თუ ტრანსპორტში; სიცივესა თუ სითბოში; ვაგროვე სამშობლოში, ვაგროვე უცხოეთში; მოხუცისა თუ ახალგაზრდისგან, ქალისა თუ კაცისგან, ბრძენისა თუ ბრიყვისგან, დიდისა თუ პატარისგან, ნაცნობისა თუ უცნობისგან და საერთოდ ვინ იცის კიდევ ვისგან და საიდან.

ვაგროვე აზრებად და ფიქრებად, დავიდე ცხოვრების საგზლად, ვკინძე პატარა მძივებად, ვეძებე უკვე გამქრალ ფიქრებში, იმედით შევხვდი შესაძლებლობებს, ვეცადე სათქმელში გამომეხატა, ძილის ილუზიებშიც კი გავატარე და ბოლოს გაბნეული ფურცლებიდან აკრებილი თქვენამდე მოვიტანე, ჩემთვის პატარა, მაგრამ "ხელთუქმნელ ძეგლად".

/ავტორი/

რაც მიფიქრია და მწამს

❖ საქართველოში ყოველი მეორე-მესამე თუ პოეტია ან ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელი, მაშინ "მე" პირველი ვყოფილვარ, (პირველს კი კომენტარი არ ესაჭიროება)

❖ მდიდარია, ის ვისაც ჯანსაღი სულიერი სამყარო გააჩნია.

❖ კეთილშობილება ის უნარია, რომელიც ადამიანობის საზომით იზომება.

❖ კეთილშობილება – უდიდესი განძი რჩეულთა ხვედრია.

❖ ადამიანობა, ინტელექტის არსი, საკაცობრიო საგანძურია.

❖ გულუხვობისათვის არ არის საკმარისი მდიდარს არ-თმევდე და ღარიბს აძლევდე.

❖ "ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული" –თუ ეს გულისძგერა გონებითაა ნაკარნახევი.

❖ დიდკაცობა დიდი თანამდებობით არ განისაზღვრება.

❖ იყო ერისკაცი, არ კმარა საქართველოს სადღეგრძელო ხშირად შესვა.

❖ რომ განსაჯო, ჯილდოსა და სასჯელის გარჩევა უნდა შეგეძლოს.

❖ ფერების მშვენიერებაზე დალტონიკის აზრს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

❖ უხვი შემოდგომა, გაზაფხულზე გაწეული შრომის შედეგია.

ყოველი ახალი მეგობარი ახალი გამარჯვების საწინდარია.

❖ გენიოსი,– უდიდესი შრომით, ღვთისაგან ბოძებული ნიჭის გაფურჩქვნით, აღმოცენებული ნაყოფია.

- რუსთაველი – შუა საუკუნეების საკაცობრიო საგანძურის მარგალიტია, რომლის ბრწყინვალებაც არასოდეს ჩაქრება.
- რა არის სიბრძნე და სიბრიყვე, ვიცოდე "მინდა და ცოდნის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია".
- ღალატი–სხვის მიმართ ცუდის მცდელობა, საკუთარი თავის გამომზიურებაა!
- აზრი, გონება, სიკეთე, საზოგადოების მიმართ სამსახურში ვლინდება.
- <u>ცხოვრების აზრი</u> – "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს" (ნ.ბარათაშვილი).
- მიღწევა, ხვალინდელი დღის მიმართ დასახული რეალური ამოცანაა.
- ის, რაც ადამიანებს უნახავს და განუცდია, რაც ხანმოკლე ცხოვრებას ჭარმაგი ადამიანისათვის მიუცია, დღევანდელზე აგებული იმედია, მარად ფესვგადგმული "ხმელი წიფელია", ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებაა, სიცოცხლის ზეიმია, ხვალინდელი დღეა.
- კალენდარი – ჟამთაღმრიცხველი, წარსულისათვის – ჟამი, მომავლისათვის იმედია.
- ბრძოლის აზრი ყოველთვის გამარჯვებაში არ გამოიხატება, ზოგჯერ დამარცხება გამარჯვებაზე ძლიერია.
- ზოგჯერ მეტოქის მიმართ პოზიციის დათმობა, მომავალი გამარჯვების საწინდარია.
- საკუთარ თავზე მიღებული გამოცდილება და სხვისი წარმატების დაუჯერებლობა ერთიდაიგივე სიბრიყვეა.
- <u>გამოცდილება</u> – ეს საკაცობრიო მცენარის ნაყოფია და რაც უფრო ღრმა ფესვებზე მდგომ მცენარეზე შეაგროვებ ნაყოფს, მით უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო დიდხანს არსებობა გიწერია.

- ენდე, დაიჯერე, მაგრამ მიაღწიე იმას, რომ პირველ რიგში შენი სჯეროდეთ.
- ჩემთვის რუსთაველი საკმარისია, მაგრამ ვაი, რომ მე არ ვკმარვარ მისთვის.
- სასმელი – რომელიც გვავიწყებს ყველაფერ ცუდს და მათ შორის თავსაც.
- ნიჭიერი ზარმაცი – ბრიყვი, "ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის" (დ.გურამიშვილი).
- "მთელი საკაცობრიო სიბრძნე ორიოდე სიტყვით გამოიხატება – ელოდე და იმედი იქონიე" (ა.დიუმა); მე კი ვიტყოდი, რომ საკაცობრიო სიბრძნის საფუძველს თანმიმდევრული და მიზანდასახული შრომა წარმოადგენს.
- თავის ქება, ან დავიწყება – ორივე უკიდურესობა, ერთი და იგივე სიბრიყვეა.
- უაზრობა დიდხანს ვერ ძლებს, "შენახვის კანონს" ეწინააღმდეგება.
- სიტყვაა მთავარი თუ საქმე? – საქმედ ქცეული სიტყვა!
- ფანტაზიების სკივრს ფსკერი არ გააჩნია და მისგან რაიმე სასარგებლოს ამოღება ჯერაც ვერავის მოუხერხებია
- რჩეული ისაა, ვისაც საღი გონება გიგანტური შრომითი საქმიანობისათვის მოუხმარებია.
- ადამიანები, იმას რომ ამბობდნენ რასაც ფიქრობენ და იმას აკეთებდნენ რასაც ამბობენ, მაშინ ქვეყნად ამდენი უმსგავსობა და ავკაცობა არ იქნებოდა.
- შეიარაღებებს შორის ყველაზე მძლავრ იარაღად საკაცობრიო გონებას სიყვარული მოუგონებია, "რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".
- დროც და აზრიც – ორივე მრისხანეა, დაუნდობელი და განუმეორებელი, თუ მარჯვედ არ ჩაეჭიდე და ჩამორჩი, უკან არ მოგიხედავს, არ შეგიბრალებს, გადაგთელავს, მიწასთან გაგასწორებს, ცოცხლად დაგმარხავს.

- სიტყვა ვაქციოთ საქმედ – შეუძლებელია მხოლოდ სიტყვით! პირიქით შეიძლება ნებისმიერ, თუნდაც შეუძლო შემთხვევაშიც კი!
- პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ბრიყვი უზრუნველად ცხოვრობს, ჭკვიანი კი ცხოვრებისათვის ზრუნვაში კვდება.
- სითამამესა და სიბრიყვეს შორის ის განსხვავებაა, რომ ბრიყვში გამბედაობის ელემენტს სადავე არ გააჩნია.
- თუ ის არ ვიცი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი რა სიკეთეს მოუტანს კაცობრიობას მესამე ათასწლეულში, იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომ დიოგენის ოცნება კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდება მისთვის.
- ფიქრი – უაზრობიდან აზრზე გადასასვლელი ხიდია.
- ვინც ფიქრობს, მას ავიწყდება, თორემ ვინც არ ფიქრობს, აბა მას რა აქვს დასავიწყებელი?
- დაკვეთით საქმე არ კეთდება – საქმე გულით უნდა იყოს გაკეთებული.
- ცხოველს რომ მეორადი გრძნობის ორგანოები ჰქონდეს, ადამიანის სიყვარულს ვერაფრით ვერ აფიქრებინებდი.
- გაჭირვება როცა არ ჭირს, მაშინ არის საქმე ცუდად.
- ერთნაირადაა შესაძლებელი ისწავლო ლექსის წერა და ჭკუა. /ჭკუა თანდაყოლილია – ლექსი არ არის, რომ ისწავლო/.
- ის რაც მოდურია – ძველმოდურია.
- ვინც წინაპარი დაივიწყა – თავისი თავი უარყო.
- დაუფიქრებელი აზრი და დაუდუღებელი ღვინო – გამოდგება??? – პირველი განსაკუთრებით არა.
- ყველაზე ობიექტური მსაჯულია – დრო.
- ადამიანის სიცოცხლე სირცხვილით სიწითლის უნარის შენარჩუნებამდე გრძელდება.
- არა მხოლოდ ასაკი, განვლილი გზაც კარგად იზომება წლებით.

❖ რა არის ჩვენ დროში გმირობა?

"ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი"

(ი.ნონეშვილი)

❖ ის კი არ არის დამნაშავე ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ ის ვინც დანაშაული მოიგონა.
❖ ბუნების სამართლიანობის ლოგიკური შედეგია – ადამიანი.
❖ დრო და აზრი წინ მიდის, მხოლოდ უაზრობას შეუძლია უკან დაბრუნება.
❖ ადამიანს სიღარიბეც ახრჩობს და სიმდიდრეც.
❖ ამბობენ ღმერთისა და საკუთარი თავის მიმართ უნდა იყო მართალიო, შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ მე კი მგონია, რომ ღმერთი თვით ადამიანშია, თუ თავი ძალით არ გყავს "გადმერთებული".
❖ ადამიანებს რა მოვკითხოთ, როცა თვით ზმნებშიც არსებობს: უპირო, ორპირი და სამპირიანიც კი.
❖ მინდა ვცხოვრობდე პრინციპით – იცხოვრე სხვისთვის!
❖ ადამიანს მორალით ცხოვრება ყველა პარტიასა და რელიგიაზე მაღლა აყენებს.
❖ საკუთარი თავის წინაშე თუ ხარ მართალი, მაშინ ღმერთთანაც მართალი ყოფილხარ.
❖ ბუნებაში ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება, "საკუთარი სახელი" კი რჩება უცვლელი.
❖ ყველაზე დიდი უნარი – გიყვარდეს ადამიანი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – უყვარდე ადამიანებს.
❖ ძნელია საკუთარი შეცდომის დანახვა; კიდევ უფრო ძნელი – მისი აღიარება, ადვილია სხვისი შეცდომის დანახვა, კიდევ უფრო ადვილი – რჩევა-დარიგების მიცემა.

- მე ისეთ კაცს ვაფასებ, ვინაც თავისი წონა იცის და თავისი თავის დანახვა შეუძლია.
- ვაი მას, ვისაც წარსულში ნაკეთები "საქმის" გამო უკან მოხედვა არ შეუძლია.
- ქვეყნის უბედურება: – მათხოვარი მასწავლებელი, მშიერი ექიმი და მოტყუებული მშრომელი.
- ადამიანს ყველა დროში და ყველა ასაკში უნდა მოფერება.
- შესაძლებლობაც და ძალაც შეიძლება "ამომგდები" იყოს.
- ამ ქვეყნად არავინმა იმდენი არ იცის, რამდენიც მე არ ვიცი.
- ადამიანს, ასაკზე მეტად, მისი არარაობის შემეცნების ტვირთი ამძიმებს.
- რა არ მომწონს? – სასურველს, შესაძლებელს და რეალიზებულს შორის განსხვავება.
- რისი მეშინია? –გულგრილობის, პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვისა და მომავლის იმედში ბზარების გაჩენისა.
- ყველა სახლშია პატარა ბავშვი, თუ ასაკით არა – ჭკუით მაინც.
- ექიმო! ასაკოვანმა ავადმყოფმა, რომელიც ბავშვურად იქცევა, როგორი დოზით უნდა მიიღოს წამალი, დიდი ადამიანის თუ ბავშვის? – უკვე დაგვიანებულია!
- მშვენიერების დანახვას თვალი კი არა, გონების თვალი სჭირდება.
- ზრდილობა და მორალი, შესაბამისად ოჯახისა და საზოგადოებისაგან მიღებული მემკვიდრეობაა, შეგნება კი პიროვნების საკუთრებაა.
- პოლიტიკა თუ თამაშია, მაშინ წაგებაც მოსალოდნელი ყოფილა.

- საქმეს წარსული შეღავათს ვერ უკეთებს, მას მომავალი სჭირდება.
- ყველა ღირებულებაზე დიდი ღირებულებაა – კაცობა!
- ადამიანი კეთილია, თუ მას სხვისი სიხარული ახარებს და გასაჭირი აწუხებს.
- ღვინოს დადუღება სჭირდება, აზრს კი - მომწიფება.
- *გამოცანა:* შიშველი და უმწეო მოდის, ცარიელი და უძლური მიდის (ადამიანი).
- გიჟის "სიბრძნეს" რეალიზაცია არ უწერია, ხოლო გენიოსის "სისულელე" მომავლის რეალობაა.
- წარსულით სიამაყე მიცვალებულთა სიამაყეა, მხოლოდ მომავლით შეიძლება ამაყობდეს ადამიანი.
- მე იმას კი არ ვდარდობ რატომ გავაკეთე, არამედ ის მაწუხებს, რაც ვერ გავაკეთე.
- "პირველად იყო სიტყვა და მერე ადამიანი" – სამწუხაროა! თავიდანვე რომ საქმის კაცით დაწყებულიყო (საქმე), უკეთესი იქნებოდა.
- "საქართველო აზრიანი კაცის გარდა, ყველაფერს ეგუება" (ქუჩაში გაგონილი აზრებიდან).
- მეცნიერება – "შერეკილთა" თავშესაფარია.
- პირველ სადღეგრძელოდ? – სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს ვადღეგრძელებდი და მის ურყეობას ვისურვებდი.
- რა არის პირველადი და მეორადი? – ვისთვის? – კაცთა მოდგმისათვის? – პირველადი – საუზმე; მეორადი –სადილი.
- ყოველ ადამიანს აქვს ორი თვალი (მხედველობის და გონების) მხედველობით დანახული – ზედაპირულია, მხოლოდ ფორმა და ფერებია; გონებით დანახული კი სრულყოფილი და ამომწურავი.
- "საქონელს აბამენ რქით, ადამიანს კი ენით", მაგრამ დასაბმელი მაინც დასაბმელია და მისგან არაფერი სიკეთე არ იქნება.

- “აკრძალვას” შეუძლია ჩასახოს უმსგავსობა, “თავისუფლებას” კი – უმსგავსობის გაფურჩქვნა.
- ყოველი ადამიანი იმდენადაა დიდი, რამდენადაც ზრდილი.
- ადამიანმა ღმერთი თავისი უღმერთობის დასათრგუნავად გამოიგონა, მაგრამ ის ამჯერადაც შეცდა, რადგანაც უღმერთობის წინააღმდეგ ღმერთს არ შეუძლია ახალი “უღმერთობის” ჩადენა.
- ყველაზე დიდი დაფასება ადამიანისა – მის მიმართ დიდი სიყვარულით გამოიხატება.
- ბუნება მარტივი და მრავალფეროვანია, თუ რომელიმე მოვლენა გვეჩვენება რთულად, ე.ი. ვერ ჩავწვდით მოვლენის არსს.
- “ჭირსა შიგან გამაგრება ესრე უნდა ვით ქვიტკირსა” – ასეთი უცნაურები ვართ ქართველები, საკუთარ ჭირს კიდეც ვამრავლებთ და კიდეც ვამაგრებთ ქვითკირივით.
- მშობლების სიცოცხლის ხანგრძლივობა შვილების საქციელის პროპორციულია.
- 23.04.2000 – დღეს ცხოვრების “ლარი” დავახურდავე, 50 – უკვე დავხარჯე.
- ოჯახი – სულიერი სიმშვიდის ბუდე.
- სამსახური – ასპარეზი შესაძლებლობების გამოსავლენად.
- სიბერე ასაკი კი არა, სილამაზის აღქმის უნარის დაკარგვაა.
- სიყვარულის უნარი – ათასწლეულების გადახედვის უნარი.
- რაც უფრო ფაქიზი გრძნობებით შეხვალთ სიყვარულის სამყაროში, მით უფრო ამაღლდებით.
- ამქვეყნიური ცხოვრების აზრი მხოლოდ სიყვარულის უნარით განისაზღვრება, შეძელით სიყვარულის საიდუმლოთა შენახვა!

- შეგონება – განდევნე ეშმაკი, ეზიარე რუსთაველს!
- ფიროსმანის საღებავებისა და ფუნჯის საიდუმლოს მხოლოდ ფიროსმანის გონება განაგებდა.
- ადამიანს ღვთიურ სასუფეველში შესვლისათვის სანთელი და ლოცვა კი არა, სანთლად ანთებული საქმე სჭირდება.
- თუ ანთებულ სანთლად ნაკეთები საქმე გამოგადგება, მაშინ კაციც დაგინახავს და ღმერთიც.
- ცოდნის ნამცეცს რომ დაეუფლო, უცოდინრობის გორაკი უნდა გადადგა.
- მეცნიერება – ხელოვნებაა და ხელოვნება ყველაზე დიდი მეცნიერება.
- უმწეობას მიჰყავს ადამიანი ღმერთამდე, ადამიანური სისუსტეებისაგან თავისუფლებას კი სიბრძნემდე.
- ნამუსი განძი კი არ არის, რომ იპოვო, დაკარგვა კი ძალზე ადვილად შეიძლება.
- გარეცხილი ყველაფერი კარგია – ნამუსის გარდა.
- უზნეობაა, როცა ყველას გაჭირვების დროს გილხინს.
- მუზა – შემოქმედებითი შემართებაა.
- ღვთით მინიჭებული ყველაფერი ლამაზი და მდიდარია.
- მოგებაზე გათვლილი ყველა საქმე წაგებულია.
- უნამუსო და უზნეო კაცი, ჩემთვის – *უხსენებელია.*
- გამოცდის ფულით ჩაბარება – ორ მათხოვარს შორის ურთიერთობის გარკვევაა.
- ადამიანს ნამუსის ტვირთი ამძიმებს, თორემ უნამუსოსათვის სიარულიც ადვილია და ფრენაც.
- გვიხარია როცა ცხოვრების ყოველ ახალ დღეს ვახურდავებთ – გვწყინს, რადგანაც ხურდაში ყოველთვის ნაკლები გვრჩება.
- თუ იმას ვერ აკეთებ, რომ ადამიანებს უყვარდე, მაშინ იმას მაინც ნუ გააკეთებ – სძულდე მათ.
- ბრძენი დიქტატორი სახელმწიფოს ბედნიერებაა.

- ჭკვიანი ის კი არ არის, ვინც “ყველაფერი იცის”, არამედ ის, ვისაც სხვისგან ცოდნის მიღება შეუძლია.
- სიძლიერეს, ემოციებზე მაღლა დგომის უნარი განსაზღვრავს.
- ქვეყნად ყველაზე მეტად საშიში – მიძინებული ვულკანია.
- ის, რაც დღეს არის ადრე, ხვალ უკვე იქნება გვიან.
- ადამიანში ყველაზე ცუდი თვისება – სხვისი დაცინვის უნარია.
- ხშირად ადამიანებს შორის ჩხუბის მიზეზი მხოლოდ სიმართლეა.
- ადამიანი, სწორედ გააზრებული მოქმედებისას უშვებს შეცდომებს (სხვა მოქმედებანი ადამიანისა ინსტიქტურადაა).
- მანამ ვერ მიაღწევ შედეგს, სანამ არ ირწმუნებ, რომ იმის გაკეთება შეგიძლია.
- დღევანდელობის ყველაზე დიდი პრობლემა თანამდებობის გაადამიანებაა (“ჰუმანიზაციაა”).
- სიცოცხლე სამყაროს ძირითადი აგრეგატული მდგომარეობაა, რომლის გენეტიკური კოდის გადაცემა სინათლის კვანტით ხორციელდება.
- შეკითხვა – როგორ შეიძლება გახდე ნამდვილი მორწმუნე? – უნდა ირწმუნო ადამიანი.
- სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული აზროვნება უცხო მიწაზე იძლევა კარგ ნაყოფს.
- მეცნიერებაში ნათქვამი სიტყვა უკვდავებისაკენ გადადგმული ნაბიჯია.
- საქართველოში კომუნისტური წყობა არასოდეს არ ყოფილა, საბჭოთა კავშირის დაშლით კომუნისტური წყობა კი არ გაუქმდა, საუბედუროდ, მისი ყველა უარყოფითი მხარე დაკანონდა.

- საკაცობრიო ისტორიას ღალატის, ნგრევის, გაუტანლობისა და კიდევ ვინ იცის სიგლახის რა უზარმაზარი ყულაბა გააჩნია.
- ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი არარაობაა.
- ადამიანის ბუნება იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ შეეძლოს დროსაც უკუღმა დააბრუნებდა.
- ღმერთმა თავისი თავი ადამიანის გაჩენას გადააყოლა.
- ცუდია რომ არაფერი დაგიკარგავს და ეძებ, კიდევ უფრო ცუდი – ნაპოვნის იმედზე თუ ხარ. კარგია, თუკი თესავ, კიდევ უკეთესი, თუ შენს მოწეულს იმკი.
- საქართველოს უახლოესი მომავალი, თუ დიქტატორით არა, დამპყრობლით მაინც იქნება განსაზღვრული.
- უკვდავებისათვის თავგანწირვაა საჭირო.
- ქართული გენი მხოლოდ უცხო მიწაზე "ხარობს".
- "ვეფხისტყაოსნის" სამშობლოში კაცთა ტყავება განა რაიმე პრობლემას უნდა წარმოადგენდეს?
- ნიჭი მხოლოდ ხელოვნებაში ვლინდება. ნიჭიერია ის, ვინც თავისი საქმის ხელოვანია.
- ბედნიერია ის, ვინც კეთილია, სიკეთე კი ერის სამსახურში ვლინდება.
- კეთილი კაცი – ეს ერის კაციცაა.
- ემოციებზე მხოლოდ მოთმინებით შეიძლება გაიცეს პასუხი.
- ნუ შეეცდებით, გადააკეთოთ ადამიანი, ის იმითაა საინტერესო, ასეთი რომ არის.
- წაგების გარეშე მოგების ეშხიც უფერულია.
- სამყაროს აზრს მოძრაობა შეადგენს, მხოლოდ მიცვალებული შეიძლება იყოს უძრავი.
- გამოსავალი ჩიხიდანაც კი არსებობს, სხვა საკითხია იმავე მეგზურს სხვა გზის ძებნაში თუ შეიძლება ენდოს კაცი.

- ყველა გენიალური აზრი მარტივია, მაგრამ ყველა მარტივი აზრი გენიალური არ არის.
- ბუნება უწყვეტისა და დისკრეტულის ერთიანობაა.
- მთელი თავის თავში უწყვეტია, სხვასთან მიმართებაში – დისკრეტული.
- ფულმა გააცივა გული, უფულობამ ამომხადა სული.
- ამ წუთისოფლიდან დაუმარცხებლად ვერავინ წასულა.
- რა არ მოგწონთ, წინ რომ გისწრებენ, თუ უბრალოდ თქვენს წინ რომ მიდიან? – შეგნებულად წინ რომ მეღობებიან.
- გლოვა – ადამიანის პროტესტია განგების გადაწყვეტილების მიმართ.
- წიგნი – უძვირფასესი განძი, რომელიც ადამიანის გონებაში უნდა ინახებოდეს.
- ყველაზე ადვილი სხვისი და ყველაზე ძნელი საკუთარი პრობლემებით ცხოვრებაა.
- ადამიანი ყველა ასაკში ბავშვია!!!
- ის, რაც გიყვარს იმით კი არ უნდა არსებობდე, არამედ უნდა ცხოვრობდე.
- ფასეულობის გადაფასება, სამწუხაროდ, უარყოფითი სვლითაა განპირობებული.
- ამასოფლის ამინდს ქმნიან ძლიერნი ამასოფლისანნი.
- უპერსპექტივო ადამიანია ყველაზე საშიში.
- დიდგულოვნება დიდი ტვირთია ადამიანისა, დიდსულოვნება კი – უდიდესი განძი.
- სწავლაში ყველაზე დიდი მიღწევა, სხვისი მნიშვნელოვანი აზრის ანგარიშის გაწევის შესწავლაა.
- ყველა ქუდი კარგია, თუ თავზეა დაფარებული.
- სიცარიელეს ქუდით ვერ დაფარავ.
- ცნობიერებაა პირველადი თუ ყოფიერება? – ორთავე, რადგან ისინი ერთისა და იმავე მედლის ორი მხარეა.
- ეკონომია შეიძლება ყველაფრის, გარდა სიყვარულისა.

- ამქვეყნად ყველა მჭედელია: ზოგი საკუთარი ბედისა, ზოგი კი სხვისი უბედურებისა. (ამ აზრს თავისი ისტორია აქვს, პირველი ვარიანტი ასეთი იყო: ამქვეყნად ყველა მჭედელია, საკუთარი ბედისა თუ უბედურებისა).
- თვითმკვლელობა – ფიზიკური სხეულის "მე"-საგან განადგურება.
- სიბერე წლები არ არის, თუ ცხოვრების გზა განვლილად მიგაჩნია, მაშასადამე, დასასრულიც დამდგარა, ხოლო თუ წინ მდგომი მწვერვალების დალაშქვრის სურვილი და შესაძლებლობა დაგრჩენია, ისევ ჭაბუკი ყოფილხარ, მაშ შეუტიე!
- ყველაზე რთული ბავშვის გულუბრყვილო შეკითხვებია.
- ყველაზე ძლიერი ისაა, ვინც საკუთარ თავს მოერია.
- პოლიტიკოსებო! – გახსოვდეთ, რომ ადამიანი ერთხელ მოდის ამქვეყნად და მიეცით შესაძლებლობა იყოს იმად, რადაც მოვიდა.
- მაკროსამყაროს გასაღები მიკროსამყაროშია, კოსმოსისა კი – დედამიწაზე.
- ცხოვრება ფეხბურთის თამაშია, ზოგჯერ შესაძლოა საჭირო მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდე.
- წარსული აწმყოშია, აწმყო – მომავალში.
- პარლამენტი – ოაზისია, სადაც სახელმწიფო დანაშაულისათვის პასუხს არ აგებენ.
- სამწუხაროდ, თვით ბუნებას აქვს უღმერთო კანონები – ცუდი ნერგი უკეთესად ხარობს.
- ცუდკაცობა ადვილი პროფესიაა, კაიკაცობა – ძნელი.
- მეოცე საუკუნეში ოცდამეერთესათვის გავჩნდი, ხოლო ოცდამეერთეში ოცდამეორისა ვიქნები (ხმამაღლა ნათქვამი).
- ყველაზე დიდი აღმოჩენა საკუთარი თავის აღმოჩენაა.
- იმქვეყნიურ სასუფეველში შესვლისათვის ამქვეყნიური უკვდავებაა საჭირო.

- ვირისათვის ტრადიციებზე წიხლის კვრა ახალი ტრადიციების დანერგვად ითვლება.
- გმირის შემქმნელი, საუკეთესო შემთხვევაში, ისტორიიდან უკვალოდ მიდის, უარეს შემთხვევაში კი – მოღალატედ კვდება.
- შეცდომაა – დაანაწილე და იბატონე;
  სწორია – გააერთიანე და გააძლიერე.
- ადამიანების გულებისაკენ მიმავალი გზა გულწრფელობასა და გულახდილობაზე გადის
- სიბნელეს კი არა, სინათლეს ახლავს უამრავი საიდუმლო.
- ადამიანებს საკვები კი არა, ურთიერთობა კვებავს, საწამლავი კი არა, ცუდი დამოკიდებულება წამლავს.
- საქონელი, ნამუსი კი არა, მისი არმქონე ადამიანია.
- ქვეყანას, რომელსაც საფუძვლად პატიოსნება და პროფესიონალიზმი არ უდევს, მომავალი არ გააჩნია.
- ადამიანის მოქმედებას განწყობა განაგებს, ვინაიდან ერთიდაიგივე სიტუაციას შეუძლია ნერწყვი გადაგაყლაპოს, ან გადმოგაფურთხებინოს კიდეც.

საგზალი ცხოვრების გზაზე

“რა მოგისწრია, რა შეგიქმნია,
ანდა სად თქმულა, სადაურია,
ზოგის ცხოვრება მთელი წიგნია,
ზოგის კი მხოლოდ სათაურია”.
/შოთა ნიშნიანიძე/

- აზრს მხოლოდ მაშინ აქვს არსებობის უფლება, თუ ის ხალხის საკუთრებად შეიძლება იქცეს.
- უმარტივესის ძიებას მივყავართ ურთულესი ამოცანების გადაწყვეტაზე.
- დროის მოკვლა–ადამიანის უდიდესი ცოდვა.
- დღემდე მოქმედი ქართული განათლების სისტემა ეროვნული ტრაგედია და სახელმწიფოებრივი დანაშაულია.
- შეფასების ახალი სისტემა, კუპონიზაცია განათლების სისტემაში. ამ სისტემით განათლებული ახალგაზრდები, განათლების მილიონერები.
- უაზრობა დიდხანს ვერ ძლებს, “შენახვის კანონებს” ეწინააღმდეგება.
- დრო არ არსებობს ცუდი და კარგი. დრო-ცხოვრებისეული გამოცდაა, რომელსაც კარგად, ან ცუდად მომზადებული ვხვდებით.
- ხალხის ლაგამი თვით უმაღლეს ხელისუფალსაც კი დღემდე ვერ გაუჭედავს.
- ცხოვრება ცეცხლია, აგიზგიზდება და თუ არ მიხედე უკვალოდ ჩაქრება.
- ადამიანის სიცოცხლე სირცხვილით სიწითლის უნარის შენარჩუნებამდე გრძელდება.
- ყველაზე დიდი უნარი – გიყვარდეს ადამიანი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – უყვარდე ადამიანებს.

- დიდებისაკენ მიმავალ გზას შურიანობის ბილიკი აქვს გასავლელი.
- აღმართზე ჩქარა სვლისას უკან ჩამოსრიალების დიდი შანსი არსებობს.
- მედროვეებზე–სადაც მაგათია, იქ ჩემი არ არის.
- ცარიელ სათავსოებს შორის ყველაზე უვარგისი ცარიელი თავია.
- "ჭკუის დარიგება"–ყოველ შემთხვევაში საქართველოში დღემდე არ მომხდარა (არ დარიგებულა).
- სისწრაფის მიხედვით თუ მივანიჭებდით გამარჯვებას, მაშინ სიბრიყვე სიბრძნესთან შეჯიბრებაში გამარჯვებას მიაღწევდა, რადგან ის ყოველთვის წინ უსწრებს სიბრძნეს.
- სითამამესა და სიბრიყვეს შორის ის განსხვავებაა, რომ ბრიყვში გამბედაობის ელემენტს სადავე არ გააჩნია.
- ისტორიულად ქართველი ერის გადარჩენის საკითხი მის გენეტიკურ კოდში, სიყვარულისა და შემწყნარებლობის უნარით, არის ჩადებული. საკმარისია ამ უნარის დაკარგვა და ერიც წაიშლება პირისაგან მიწისა.
- ქართველებს რაც სიფხიზლეში გვახსოვს იმას გაუმარჯოს! /სიმთვრალეში გაჩენილი აზრებიდან/.
- "რა ელის კაცს სიკვდილის შემდეგ?-რასაც არ მოელის და ოცნებითაც ვერ წარმოიდგენს"

  /ჰერაკლიტე/.
- "რაოდენ ძნელია, მსახურებდე და მორჩილებდე ერთთა და იმავეთ"

  /ჰერაკლიტე/
- ვინ ვერ დამინახავს?–ვისაც გონების თვალით სძინავს.
- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დიდი აზრები დიდ საზოგადოებაში შეიძლება დაიბადოს - თქო, დღეს კი მივხვდი, რომ ძვირფასი განძი ადამიანებისაგან ძალზე შორს შეიძლება იქნას ნაპოვნი.

- თუ ძვირფასი ნივთი ნაგავშია ჩავარდნილი ეს ხომ მისი ბრალი არ არის.
- ნორმალურ ადამიანს სიკვდილის შიში კი არა სამარცხვინო სიკვდილის შიში უნდა ჰქონდეს.
- სიკვდილი განგების განაჩენია: ის შეიძლება იყოს როგორც უდიდესი ჯილდო, ისე უდიდესი სასჯელიც; ამ ჯილდოს მფლობელნი უკვდავნი არიან მარად, ამ სასჯელ მისჯილი – სიცოცხლეშიაც მკვდარია.
- ადამიანი თუ არ მოკვდა ისე ჩვენ მისთვის არა გვცალია.
- ცუდ ფუნდამენტზე დადგმული სასახლე დაინგრევა და აუცილებლად მსხვერპლს გამოიწვევს.
- დედის ანთებული სანთლების შუქზე ჩვენი კაცობა ბრწყინავს.
- მხოლოდ რუსთაველმა შეძლო სიყვარულისთვის ძეგლი დაედგა.
- სიყვარული არის სინათლე, -სიძულვილი კი სიბნელე.
- ეკონომია შეიძლება ყველაფრის, – გარდა სიყვარულისა.
- ერთადერთი, რაც ბუნებაში არ იხარჯება, სიყვარულია.
- ადამიანებს გაჭირვებად თავისი სულმდაბლობა ჰყოფნის.
- ბერბიჭაშვილობა საქართველოს სამწუხარო რეალობაა!
- ამ დროებაში ისეთი ადამიანებიც არსებობს, რომლებიც გაქცევითა და მოდალატეობით იწონებს თავს. უბედურებას სწორედ ასეთი ადამიანების სიმრავლე წარმოადგენს.
- ცუდია, რომ არაფერი დაგიკარგავს და ეძებ, კიდევ უფრო ცუდი – ნაპოვნის იმედზე თუ ხარ. კარგია თუკი თესავ, კიდევ უკეთესი თუ – შენს მოწეულს იმკი.
- თუნდაც ერთი მარცვლისთვისაც ღირს შრომა, ის ხომ მომავლის იმედია.

- “შრომა თავიდან გვაშორებს სამ ბოროტებას: მოწყენას, გარყვნილებასა და სიღარიბეს” (ვოლტერი).
- აზრი–ათასწლეულის შემდეგ ადამიანებთან შეხვედრის საშუალება.
- აზრი–ჭკვიანი კაცის სიმდიდრე.
- აზრი–საგზალი სიბრძნის გზაზე.
- მხოლოდ აზრთან მიმართებაში ჩერდება დრო.
- მხოლოდ აზრს შეუძლია (დროებით მაინც) დაამარცხოს დრო.
- წუთისოფელი წარმავალია, აზრი კი უკვდავი.
- კაცობრიობა –აზრის და უაზრობის ჭიდილია.
- უმწიფრობა ხილს შეიძლება ეპატიოს,– აზრს არა.
- ბუნების კანონების ძიებამ, აზრების “ბაღთან” მიმიყვანა.
- თუ ბაღში ოფლი არ დაგიღვრია, იქედან ცარიელი კალათით გამოხვალ.
- ვერ გამიგია, ჩემს ცხოვრებაში გაზაფხული მაქვს თუ შემოდგომა (ვთესავ თუ ვიმკი), თუმცა ის ვიცი, ვინც ჩემს “ბაღში” გაივლის, წლის ნებისმიერ დროს იპოვნის მისთვის სასურველ გემრიელ ნაყოფს.
- რა არ მომწონს? – სასურველს, შესაძლებელს და რეალიზებულს შორის განსხვავება.
- რისი მეშინია? - გულგრილობის, პასუხის - მგებლობის გრძნობის დაკარგვის და მომავლის იმედებში ბზარების გაჩენისა.
- ჩემი თაობის ოცნებათა ფურცლები ქარმა გააბნია და გაფანტა.
- ხავსის სილამაზეს მის ქვეშ დამალული ჭაობი და სიდამპლე აუფერულებს.
- ვაიექიმისათვის უბედურება ეპიდემია კი არა, – ჯანმრთელობაა.

- ❖ ადამიანისათვის სამართლიანობა მთავრდება იქ, სადაც მისი ინტერესები იწყება.
- ❖ ადამიანებისათვის რეალობაზე უფრო საინტერესო მოჩვენებაა.
- ❖ პლატონური სიყვარული –ბერიკაცის სიყვარული.
- ❖ ადამიანო! – შეჩერდი, დაფიქრდი!
- ❖ გამოცანა: გვგონია ვაგროვებთ, სინამდვილეში ვკარგავთ (წლები)
- ❖ ადამიანისათვის საქციელია მისი პასპორტი.
- ❖ ადამიანის მიერ შენახული სიმდიდრიდან ყველაზე მეტად ბავშვური გულუბრყვილობა გამოდგება.
- ❖ არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს კაცს, ეს წუთისოფელი აღმა–დაღმა სიარულია.
- ❖ შევარდნაძის რეჟიმმა სახელისუფლებო ელიტას დამწიფების ეტაპი გამოატოვებინა და პირდაპირ ლპობის სტადიაზე გადაიყვანა.
- ❖ მხოლოდ რწმენას შეუძლია, ადამიანს გონების თვალი აუხილოს.
- ❖ "ქუდზე კაცი"– კაცისათვის ცუდი საზომი ერთეული.
- ❖ ყველა საქმე მნიშვნელოვანია, რომელიც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი.
- ❖ თუ მატერია, სივრცე და დრო განუყოფელია –აზრი შესაძლოა სივრცის მოცემულ წერტილში ჩამორჩებოდეს დროს, ან კიდევ წინაც უსწრებდეს მას. –წინმსწრები აზრი მომავლისაა, ჩამორჩენილი წარმავლის.
- ❖ გმირი არ ბერდება.
- ❖ გმირი და მეცნიერი კაცობრიობის საკუთრებაა.
- ❖ სიცოცხლისათვის თავგანწირვა რომ არ დაგჭირდეს, ბრძენი უნდა იყო.
- ❖ ადამიანი სულ მუდამ მოზარდი ვერ იქნება, დამწიფების საფეხურიც უნდა გაიაროს, მაგრამ ყოველნაირად უნდა ეცადოს, რომ ლპობის სტადიას თავი დააღწიოს.

- დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი ტოლი იქ-ნებოდა, რომ ცოცხლებში მკვდრები არ ყოფილიყო გა-რეული.
- “მოკვდა და გათავდა” –ეს ის სიკვდილია, რომელიც შე-იძლება სხვა დროსაც განმეორდეს.
- ერის გადაგვარება მაშინ ხდება, როცა საკუთარ ტრა-დიციებს ივიწყებს და სხვისი ხატით ღმერთს ევედრება.
- ამ ქვეყნად ორი რამ არ ისწავლება: ისტორია და ჭკუა, რადგანაც ჭკუა ადამიანის საკუთრებაა, ხოლო ისტო-რია –დროის.
- სამწუხაროდ, ხშირად, “ხელის” უფლებები და შესაძ-ლებლობები შეურაცხმყოფელია “თავის” უფლებებისა და შესაძლებლობების.
- ჭაბუა ამირეჯიბი –აღმაშენებელი ლიტერატურაში!!!
- უკვდავების წამალი –გაუფრთხილდით ერთმანეთს!
- საბრალოა ის ფრინველები, რომელთაც პირველსავე გაფრენაზე მზესთან უნდათ წასვლა.
- პოლიტიკოსებს შორის ჭკვიანი შეიძლება იყოს ერთი, დანარჩენი ან ლამაზი ან ჯამბაზი
- საუკუნეების მანძილზე განა შაჰის კარზე არ წყდებოდა ვინ ყოფილიყო საქართველოს მეფე? ერეკლეს მიერ ჩრდილოეთის მხარეს მიპყრობილ მზერას შევარდნაძის მიერ ჩრდილოეთიდან ამოყვანილი მზე მოჰყვა, თუმცა დასავლეთისაკენ ერთ გახედვას მისივე ტახტი შეეწირა და ახლა “დასავლეთიდან ამოსული მზით” ვთბებით.

  ღმერთო გამაგებინე, ვინ გადაუბრუნა ქართველ ერს ტვი-ნი ისე, რომ საერთოდ დაავიწყა, მზე ბუნებაში აღმო-სავლეთიდან რომ ამოდის! (რაოდენ სამწუხაროა, რომ ძველთაგანვე ჩვენში მხოლოდ მიცვალებულის “მზერაა” აღმოსავლეთით მიპყრობილი).

სამხრეთის მზე მწველია, ჩრდილოეთის ცივი, დასავლეთის ჩამავალი. მზე აღმოსავლეთიდან ამოდის ხალხო!

- "უფროსობა", ეს ავადმყოფობაა და მას სერიოზული მკურნალობა სჭირდება.
- "ნეტარ არიან" პარლამენტარები.
- დეფიციტი–ხელისუფლებაში ჭკვიანი ხალხის დანაკლისი.
- დაკარგავ მეგობარს–შეიძენ მტერს!
- რაც უფრო მეტს დაყოვნდები, მით უფრო მეტს დაკარგავ.
- თუ მოქმედება საშიშია, რომ ბუმერანგივით არ დაგვიბრუნდეს უკან, უმოქმედობა კიდევ უფრო საშიშია, რადგანაც ის უფრო ადრე დაგვხვდება წინ.
- კარგი,–კარგი ცხოვრებაა; ცუდი – ოცნებებით, ხოლო უარესი–მოგონებებით.
- სადაც ფულია ზომა წონის საზომი, იქ ბედნიერება არ არსებობს.
- ქვეყანა ყანაა, რომელშიც სასარგებლო კულტურაცაა და სარეველაც, რომელი გაბატონდეს ეს გუთნისდედაზეა დამოკიდე ბული.
- ბრბოს მართვას ავანტიურისტი სჭირდება, საზოგადოებისას კი ბრძენი.
- სამწუხაროდ, ხშირად ჭკვიანი კაცისათვის არ აქვს საზოგადოებას ღირსეული ადგილი.
- ახალგაზრდების საყურადღებოდ: აწმყოს წარსული უსწრებს, ხოლო მომავალს ორივე!
- სუსტებისა და გასაჭირში მყოფთა მიმართ დახმარება ადამიანის თვისებაა, ხოლო სუსტების შეჭმის სურვილი–მხეცების თვისება.
- ლოთი–სასმელს ჩააბარა ყველა პრობლემები.

- მკვდრისაგან ჩამოიწერება ადამიანური სისუსტეები, მისგან რჩება მხოლოდ კვალი, ნათელი ან ბნელი, /საბრალოა ის ვინც უკვალოდ გაქრა/.
- ვნახე ქართული სულის უკვდავება –სამების ტაძარი. (2/XII–2006)
- "მე უკვდავებას გავეთამაშე"–აზრთა კრებულის სათაური, როცა იმ ქვეყნის მდგმური ვიქნები.
- გონიერი კაცი დახუჭული თვალებითაც ხედავს, კი არ დადის.
- საქართველოში ყველა მენეჯერია, –ყველას სხვისი ხელით უნდა საქმის კეთება.
- ამდენი გენერალი და წაგებული ომი; ამდენი მეცნიერი და გაუქმებული აკადემია; ამდენი პროფესორი და გამეფებული წერა - კითხვის უცოდინრობა; ამდენი მშრომელი და მშიერი ქვეყანა.–ხალხო!!! აღარ დავფიქრდეთ რა ხდება ჩვენს თავს?
- პოლიტიკური თამაშების მოედანი ძალზე იშვიათადაა სუფთა, ამიტომ ასეთ მოედანზე მოასპარეზე, თამაშის შემდეგ, შესაძლოა, სამწუხაროდ ძალზე დაჭუჭყიანებული, ან ზოგჯერ, დასისხლიანებულიც კი აღმოჩნდეს.
- ხალხო! – თუ ღმერთი არსებობს, რას ვთხოვ იცით? შემძლებოდეს შრომა, შემძლებოდეს გაცემა!
- მარკუს ავრელიუსის "ფიქრების" შემდეგ აღარც კი უნდა იწერებოდეს ამ სახის წიგნები, მაგრამ ხომ დაიწერა ჩემამდე სხვადასხვა ავტორის მიერ. მე რით ვარ სხვაზე ნაკლები "უნამუსო".
- "ღმერთმა ქმნას, რომ მე ვცდებოდე",–შეუძლებელია ღმერთმა ადამიანების შეცდომა ინდომოს.
- წიგნს შეუძლია მხოლოდ ავტორის სულიერი სამყაროს კარებამდე მიგიყვანოს, /შიგ შესვლისათვის მკითხველს სულიერი სამყაროს ლაბირინთების გახსნის ოსტატობა მოეთხოვება/.

პატარა მძივები

“ციცინათელამ თქვა: მეც თავგამოდებით
ვებრძვი უკუნეთსო”
(ზაურ მჟავანაძე)

- ❖ ერთადერთი, რაც ძველ ფუნდამენტზე შეიძლება მყარად აიგოს, – ცოდნაა.
- ❖ უცოდინრობას კი არ უნდა დაემალო, ხმალამოღებული უნდა ებრძოლო!
- ❖ მხოლოდ ვირტუალურ ლაბორატორიაში გაზრდილი სპეციალისტი – მეოცნებეთა არმიის წარმომადგენელია.
- ❖ ვირტუალური მონადირე რეალურ გარემოში ნადირის ლუკმაა.
- ❖ შეგონება: ჭკვიანისაგან კრიტიკა, ბრიყვისაგან ქებას გერჩიოთ!
- ❖ ხშირი ხმარებით ყველაფერი იცვითება - სიტყვაც კი.
- ❖ გინდა დარჩე მეცნიერებაში? - თუ ახალგაზრდა ხარ ჯორდანო ბრუნოს მიბაძე თუ ასაკოვანი - გალილეო გალილეის.
- ❖ თუ სიცოცხლე განგების საჩუქარია - სიკვდილი ამ საჩუქრის გააზრებულად გამოყენების შესამოწმებლადაა გამოგონილი.
- ❖ განძი შეიძლება მიწისქვეშაც შეინახო, კაცობა კი მხოლოდ მიწის ზევით.
- ❖ ერთი სიცოცხლე ადამიანს ბავშვობის ოცნებების განსახორციელებლადაც კი არ ჰყოფნის.

- ისტორია დროის კატეგორიაა, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის „ვითარდება“ - წარსულიდან მომავლისაკენ!
- ვინც ისტორიის გადაკეთებას შეეცდება, ადრე თუ გვიან ისტორიის სამსჯავროზე აღმოჩნდება.
- ისტორია ვარდი არ არის, რომ ლამაზი და სურნელოვანი იყოს.
- ამ წუთისოფელში ყველაფერზე მნიშვნელოვანი უკვდავებაა.
- თავგანწირვას მხოლოდ უკვდავებისათვის აქვს ფასი.
- წასვლით ნათელი კვალის დატოვება რჩეულთა ხვედრია.
- მხოლოდ მამულისათვის სიკვდილს შეუძლია უკვდავების მოტანა!
- ადამიანთა ცოდვებს დედამიწის დამძიმება ისე შეუძლია, რომ შესაძლოა ორბიტიდანაც კი ამოაგდოს და საერთოდ დაღუპოს კიდეც.
- აღმართზე სვლა მიზნისკენაა, დაღმართზე - მოგონებებისაკენ.
- მოგონებებში გაცოცხლებული მიზანი, ჯერ კიდევ, მწვერვალის დაპყრობის ჩაუქრობელი ნაპერწკალია.
- დრო არ არსებობს ცუდი და კარგი. დრო - ცხოვრებისეული გამოცდაა, რომელსაც კარგად, ან ცუდად მომზადებული ვხვდებით.
- ვისაც უკან მოხედვის ეშინია, ვერც წინსვლისას იქნება ლომგული.
- ადამიანი დედამიწაზე სტუმარია, დღიდან გაჩენისა გაფრენაზე ოცნებობს.

- გმირობა ისეთი მოქმედებაა, რომელიც მოკვდავი სხეულისაგან უკვდავ ვარსკვლავს ააკაშკაშებს!
- გენიოსობა ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც მძიმე შრომით და განგებისაგან ბოძებული ნიჭით შეიძლება შეეყაროს კაცს, მაგრამ სხვებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგანაც ეპიდემიის სახით „ვირუსებით“ არ ვრცელდება.
- ყველაზე დიდი ვაჟკაცობა - პატიებაა!
- შეცდომის პატიება ადამიანს შუძლია, დანაშაულის შენდობა კი ღმერთს!
- ჭეშმარიტება - არარსებული რეალობაა.
- პოლიტიკა არის შესაძლებლის რეალიზების ხელოვნება.
- პოლიტიკა თუ თამაშია მაშინ წაგებაც მოსალოდნელი ყოფილა.
- თუ ადამიანი ვერ ხედავს თვალებით - ეს ბუნების უსამართლობაა, ხოლო თუ ადამიანი ვერ ხედავს გონებით - ეს მისი უბედურებაა!
- ქვეყანა ყანაა, რომელშიც სასარგებლო კულტურაცაა და სარეველაც, რომელი გაბატონდეს ეს გუთნისდედაზეა დამოკიდებული.
- წუთისოფელი მრისხანეა არ დაინდობს არავის, მათ შორის მათაც, ვისაც არაფერი დაუშავებია.
- “ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად”. „კ.გამსახურდია“.
- საქციელზე მორალის მარწუხების აშვება, ცნობიერების გადაგვარების საშუალებაა!
- როდის აღარ იქნება საქართველო? - როცა „უცხოური სერიალების დახმარებით“ აღარ იქნება

ბიძაშვილ-მამიდაშვილობა!!!

- ის რაც ბუსათვის დღეა, ადამიანებისათვის ღამეა.
- ადამიანები ცხოველებს ჰუმანური მოსაზრებების გამო კი არ წვრთნიან, არამედ თავიანთი პირადი ცხოვრების გასაკეთილშობილებლად.
- თუ გსურს აჯობო სხვას, პირველ რიგში მოერიე შენ თავს.
- პატარა მძივებსაც აქვს თავისი ხიბლი.
- ბუნება მარგალიტების საბადოა, ჩვენ რა გვეკუთვნის ამ სიმდიდრიდან განგების გადასაწყვეტია.
- ფიზიკის კანონებიდან: ერთნაირი ნიშნის მქონე მუხტები უძრაობისას ერთმანეთს განიზიდავენ, მაგრამ რაც უფრო ჩქარა იმოძრავებენ ერთი მიმართულებით, მით უფრო მაგრად მიეზიდებიან ერთმანეთს.
- რაოდენ უცნაურობაა, რომ ჩვენში „ყურებას“ თვალები ჭირდება და არა ყურები.
- სმენა, რომ არასაკმარისია აღქმისათვის, ამიტომ „დაავალა“ განგებამ თვალებს „ყურება“.
- „ხელისადმი“ გადაჭარბებული უფლებების მიცემა, „თავისადმი“ უფლებების შეზღუდვის ხარჯზე ხდება.
- კანონმორჩილი ადამიანი მის გარშემო მყოფთ არ მოსწონთ, ხოლო მორალის მორჩილი - ხელისუფლებას.
- პატიოსანი კაცი მისი ზემდგომისათვის, ფეხებში ბორკილებია.
- „ღმერთსაც“ შეიძლება დაავიწყდეს თურმე, პატიოსანი კაცი ამქვეყნად მიტოვებულია.

- სიკეთის ნერგი ძნელად იხარებს - ბოროტებისა ყვავის.
- სამწუხაროდბ თვით ბუნებას აქვს უღმერთო კანონები - უვარგისი ნერგი უკეთესად ხარობს.
- სიყვარული ურთიერთობის ზეაღმატებული ხარისხია.
- სექსი - ბიოლოგიური ინსტიქტია, რომელიც სიცოცხლის გადასარჩენადაა მოგონილი.
- რაც გადაფასებას მოითხოვს, ის ანტიკვარიატში ვერ ხვდება.
- რის შესახებ უყვარს ძირითადად ადამიანებს საუბარი? - რაც ძალზე მოჭარბებულად გააჩნიათ, ან კიდევ რისი დეფიციტიც აქვთ.
- აზრები ჩემში გარედან მოდის, ჩემს მოვალეობას მხოლოდ მათი დანახვა და დაფიქსირება შეადგენს.
- ვერ გამიგია ეს აზრები მართლა ჩემია, თუ მე მისი მემატიანე ვარ, რამეთუ უმეტესობა, მემატიანენი, ისტორიის ქარ-ცეცხლს რომ აღწერდა, თვითონ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა.
- ყოველი ადამიანი თუ ცალკე სამყაროა, მაშინ სამყაროს უსასრულობას თუნდაც ერთი ადამიანის ბუნებაც ეყოფა.
- წიგნს შეუძლია მხოლოდ ავტორის სულიერი სამყაროს კარებამდე მიგიყვანოს, „შიგ შესვლისათვის მკითხველს სულიერი სამყაროს ლაბირინთების გახსნის ოსტატობა მოეთხოვება“.
- „ერთნი სახელისა და დიდების ღირსნი არიან იმის გამო, რომ კარგად წერენ, მეორენი კი იმის გამო, რომ სულ არ წერენ“ „ჟან დე ლა ბრუიერი“.

ღმერთო რამდენი ფიქრები გაქრნენ

ვუძღვნი იუბილარ მეუღლეს, ჩემი ოჯახის ბურჯს, ჩემი „შემოქმედების“ მხარდამჭერსა და სულისჩამდგმელს, ***ლუბა გიორგის-ასულ ხარაბაძეს*** (მან ხომ თავისი ექვსი ათწლეულიდან ნახევარზე მეტი სამ ნახევარი ათწლეული მე მომიძღვნა), ჯანმრთელობის, ოჯახური ბედნიერების და დიდხანს სიცოცხლის საუკეთესო სურვილებით.

/ 09.09.2013/

„ღმერთო, რამდენი ფიქრები გაქრნენ,
ღმერთო, რამდენი დრო გავაცდინე“
(ტერენტი გრანელი)

- სამი რამ სჭირდება ადამიანს სამყაროს შესაცნობად: მხედველობა, სმენა და გონება; პირველი ორის შესაძლებლობა ობიექტურადაა განსაზღვრული, - მესამის სუბიექტურად.
- მთელი ადამიანთა მოდგმის კაცური მახასიათებლის ჯამი ერთის ტოლია.

- სიკვდილის განაჩენი აქვს ამქვეყნად ყველაფერს - გარდა სიყვარულისა!
- სენტიმენტალობა სიბრძნისათვის ვერაფერი თანამგზავრია.
- სიბნელეც თავისებურად ანათებს თურმე.
- დიდსა და პატარას - მოსმენის კულტურა გვჭირდება - აი, ეს არის გზა ჩვენი გადარჩენისა.
- მხოლოდ ოფლის ფასად მოპოვებული ფული შეიძლება აკეთილშობილებდეს კაცს!

- ყოველ იდეას თავისი ბიძგი აქვს; ბუნებრივი - მარტივია (გენიალურია), საუკეთესოა; ხელოვნური -ნაძალადევი და მოსაწყენი.
- ნული მაინც ნულია - გინდ პირველი იყოს, თუგინდ მეასე.
- <u>პირველობის ფილოსოფიური არსი</u>: ნატურალურ რიცხვებში ერთიანია პირველი, მაგრამ რა ამით, -ყველაზე მცირეა.
- სიბერე ისაა ღალატის თავი რომ აღარა გაქვს (ვაჟკაცობაზე ფიქრი ზედმეტია).
- ადამიანები მეგობრებს არ იშორებენ!!!
- ვაიპოლიტიკოსები მის გარემოცვას სკამების გასამაგრებლად იყენებენ.
- მეც გავიმეორებ მრავალჯერ ნათქვამ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ „როგორიცაა საზოგადოება ისეთივეა მისი ხელისუფლებაო“ და მასთან ერთად მისი „ოპოზიციაც“ და თუ ხელისუფლება საზოგადოებას არ აურჩევია, მაშასადამე საზოგადოებას ერთი პრობლემით მეტი ჰქონია გადასაწყვეტი, ვიდრე ხელისუფლებას.
- სანამ ჩვენს თავს, ჩვენს „მე“-ზე არ დავაყრდნობთ, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება!!!
- ნუთუ ნიანგის ცრემლებიც სათნოების გამომხატველია? (ლავრენტი ბერიას დღიურების წაკითხვის შემდეგ გაჩენილი აზრებიდან)
- პოლიტიკაში გადასვლა ცხოვრების გზიდან გადასვლის ტოლფასია.
- ფული ჭირდება პოლიტიკას, თუმცა ის არ არის ერთადერთი და საკმარისი პირობა პოლიტიკაში წარმატებისათვის.
- როდესაც პოლიტიკაზე დაობენ მიჩნდება კითხვა: რატომ უნდა კარგავდეს ადამიანები ასეთ ძვირფას დროს უაზროდ?
- პოლიტიკა ის საბმულია, თუ ერთხელ მოება, თავს ვეღარ აიშვებს ადამიანი.

- „ის“ პოლიტიკოსი არ არის -პატიოსანი კაცია.
- ისე ვერაფერი იმოქმედებს ადამიანზე, როგორც პატიოსანი კაცის ტანჯვა.
- ყურადღებით დაუკვირდით საკუთარ საქციელს და იმდენ რამეს აუკრძალავთ სხვას კიდევაც გაგიკვირდებათ.
- რასაც ბავშვებს კატეგორიულად უკრძალავენ, იმას აკეთებენ სწორედ უფროსები.
- სიმართლე რომ მწარეა, იგავებით ლაპარაკი იმიტომ არის მოგონილი.
- ნორმალურ ადამიანს სხვისი წარმატება კი არ შურს, არამედ საკუთარი წარუმატებლობის მიზეზებს არკვევს.
- რას იზამ, თუ ამქვეყნად „უძღებ შვილს“ უფრო დიდი პატივით ხვდებიან.
- ყოველი ადამიანი თვითონ ირქმევს სახელს.
- ხშირად ადამიანები საკუთარ უმწეობასა და სიცარიელეს სიხარბით ავსებენ.
- პატიოსანი კაცი თავისი მორალის ტყვეა.
- არის თუ არა ღმერთის ადგილი დედამიწაზე?

-რა თქმა უნდა არა!

-არის თუ არა ღმერთის ადგილი ცაში?

- რა თქმა უნდა, არა!

-მაშ, სად არის ღმერთის ადგილი?

- მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში.

- ცხოვრება დროსთან არც ჩამორჩენას გპატიობს და არც გასწრებას.
- აზრი უაზროდ არ დადის, ციდან არ ცვივა.
- დანაკარგის ღირებულებას მონატრებისას ვიგებთ.
- <u>თაობათა დილემა</u>: შვილებს არ უნახავს მშობლების გაჭირვება; - მშობლებს არ ესმის შვილების ოცნებები.
- <u>ზღარბის რჩევა</u>: „უფრო მწარე ეკლები აქვს ლამაზებს“.
- ღმერთი ეკლესიაში კი არა, საკუთარ თავში უნდა ეძებო, ხოლო შენი ნაკეთები საქმის სიწმინდე, სხვამ უნდა დაინა-

ხოს.

- თუ მართლა ღმერთმა შექმნა სამყარო, რატომ სიმრუდეზე დააფუძნა ის და არა სისწორეზე?
- <u>გამოცანა:</u> რას ნიშნავს სუნთქვა სიცოცხლის გარეშე? (გულს რომ უნდა და სხეულს არ შეუძლია).
- რა განსხვავებაცაა დღესა და დამეს შორის, იგივე განსხვავებაა საქმიანობასა და საქმოსნობას შორის.
- ადამიანის ინერტულობის ზომად მისი ხასიათი გამოდგება (რაც უფრო მძიმე ხასიათისაა, მით უფრო ინერტულია).
- კიდევ კარგი, რომ დროის გაჩერება ან კიდევ უკან დაბრუნება არ შეიძლება, თორემ ერთ ადგილზე „ბუქსაობაში“ ამოხდებოდა ადამიანს სული.
- როგორი უმწეოა ადამიანები, რომ მოშივდებათ იწყებენ ერთმანეთის ჭამას (სანადიროდ წასვლის ნაცვლად)!!!
- ერთადერთი რამაც შეიძლება გაუძლოს დროს -სიყვარულია.
- ვცდილობთ გავიყვანოთ დრო,

- ვცდილობთ დავიმოკლოთ ცხოვრება.

- ადამიანური ყოფნის არიალი მეამიტობასა და ფილოსოფოსობას შორისაა მოქცეული.
- *ინდიკო კვეკვესკირი* -„ცივილიზაციის სათავე . . .მაინც სად არის იგი?!“ -კვლევა, რომელიც ყველა სხვა მეცნიერულ კვლევაზე დიდია!!!
- „ჩემს გაჩენამდე წარმავალი არ არსებობდა, მარადიული ყოფნა არის ჩემივე ხვედრი“ (დანტე ალეგიერი)
- -უფულობა ჭირია;

-ფული - „სა-ჭიროა“.

- რაც უფრო დიდია სიახლე, მით უფრო მიუღებელია ის.
- <u>ირონიანარევი ხუმრობა</u>: თუ არ გინდა პრობლემები, ქალი სახლში არ უნდა გააჩერო!

- ბედნიერება მრავალკომპონენტიანი განვითარებადი პროცესია.
- რა ვქნათ?-თუ რუსიფიკაცია სახელმწიფოებრიობას ემუქრება, ხოლო ამერიკანიზაცია - ეროვნულობას?
- -სექსს არ შეუძლია გადაარჩინოს სიყვარული; სიყვარულს შეუძლია იხსნას სამყარო!
- ჭკუა ჰუმანიტარული დახმარება არ არის, რომ დარიგება შეიძლებოდეს.
- შენ რას ეძებ, ეს არის მთავარი, თორემ ერთ ადამიანში შეიძლება იპოვო „ღმერთიც“ და ეშმაკიც.
- ლამაზებს და სათუთებს ფაქიზი თვალით უნდა შეხედვა.
- ქალის სილამაზეზე საკუთრება არ არსებობს.
- ქალი ყველა ლამაზია, თუ მამაკაცს არ აქვს დახშული გონების თვალი.
- <u>გამოცანა:</u> ნეტავ რას ინატრებს ქალები „ძალადობა“ რომ აღმოიფხვრას??? (განა მამაკაცის ფანტაზია კმარა ამ ამოცანის ამოსახსნელად?)
- „წინმსწრაფელი“ ამოძრავებს ადამიანს მიუწვდომელისაკენ.
- ჩემსა და „მას“ შორის ის განსხვავებაა, რომ მე ძალიან ბევრი არ ვიცი, „მან“ კი ყველაფერი იცის.
- განა რიგითი ჯარისკაცი არ ჭედავს მთავარსარდლის გამარჯვებას?
- რა სამწუხაროა, რომ იმის დაგმობა შეგვიძლია, - რისკენაც ოდესღაც ენთუზიაზმით ვისწრაფოდით.
- სამყაროს შემოუსაზღვრელობას ადამიანის გაუმაძღარი ბუნება ადასტურებს.
- სივრცე, დრო და ადამიანი ერთად, სწორედ N განზომილების ტოლია.
- ვისი მეშინია? – „ადამიანი ცხოველის“
- „მიზანი ამართლებს საშუალებას“ - არა!!! -უზნეობას ვერაფერი ვერ ამართლებს!!!

- სიზმარი - გაუთიშავ მდგომარეობაში დატოვებული კომპიუტერის ანალოგიური მდგომარეობაა.
- ადამიანი სანთელს გავს, - რაც უფრო მეტად იხარჯება, მით უფრო ანათებს.
- გალაკტიონი ლექსები კი არა, საკაცობრიო სიბრძნეა!
- რაც უფრო მეტის ცოდნას მოინდომებ, მით უფრო მეტ უცოდინრობას აღმოაჩენ საკუთარ თავში, - მაგრამ ეს შეშინებად არ ღირს.
- სულიერი და ხორციელი ჰარმონიით შეიძლება სიყვარულის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა.
- <u>აქსიომა</u>: ყველა ღირებულებაზე დიდი ღირებულება - კაცობაა!
- ადამიანის ფანტაზია ოკეანეზეც დიდია.
- შეკითხვებს კი არ უნდა დავემალოთ, არამედ გაუაზრებელი პასუხებიდან უნდა შევიკავოთ თავი.
- ზოგიერთის „თავის უფლებებს“ ვერაფერი შეზღუდავდა, რომ „ხელის უფლებები“ არ ყოფილიყო.
- ნაპოვნი ის კი არ არის, რაც მიწაზე აგდია, არამედ ის, რაც გამოყენებულია.
- ზედმეტად ხშირი განმეორება, დავიწყების საშიშროებითაა ალბათ განპირობებული.
- <u>გამოცანა</u>: რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი?

  - რამდენსაც მისი ნაკეთები საქმე.
- -მე მეშინია - არ დამავიწყდეს!

  - მე მეშინია - არ დავკარგო!

  - მე მეშინია - არ მაპატიებენ!

რადგანაც დავიწყება და დაკარგვა უსიყვარულობის შედეგია, ხოლო უსიყვარულობას არავის პატიებენ!!!

- ორ მოჩხუბარს შორის მინიმუმ ერთია ბრიყვი და მაქსიმუმ - ორივე.
- გადაჭარბებული სიამოვნება -ზიზღის აღმძვრელია!
- ყველა ადამიანი „სა - ჭიროა“

- ყოველ ადამიანს ჭირდება ავადმყოფობა, რამეთუ მის გარეშე ადამიანი არ კვდება, ხოლო სიკვდილი მარადისობაში დამკვიდრების საზომია.
- იმქვეყნიური ცხოვრება, ადამიანის ამქვეყნიური ცოდვებისაგან განწმენდვისთვისაა მოგონილი.
- მარადისობაში გადასვლა შეუძლებელია; -მარადისობას მხოლოდ ამ ქვეყნად შეიძლება ეზიაროს კაცმა. /მარადისობა ამქვეყნიურია!!!/
- ცუდია თუ მხოლოდ მოგონებებით კმაყოფილდები კაცი.
- ჯანსაღი კრიტიკა აფხიზლებს და აკეთილშობილებს კაცს.
- რეალური ცხოვრება ილუზიურია, და რაც უფრო ილუზიური, - მით უფრო საინტერესო.
- მხოლოდ ავტორს შეუძლია წიგნის შეურაცყოფა; - მისი ისეთ კაცზე ჩუქებით, რომელიც მას არ წაიკითხავს.

კარგია თუკი შეგიძლია

"კარგია თუკი შეგიძლია
შენი ოცნებების გადარჩენა"
(ირმა ქურასბედიანი)

- რაც უფრო ცოტა იცი მით "უკეთესია", რადგანაც ბევრის ცოდნის შემთხვევაში კიდევ უფრო მეტის უცოდინრობას ხედავ!
- განვითარება წრებრუნვაა, მცირედი ბიჯით წინ.
- "ხელის უფლების" მოტრფიალეთათვის "თავის უფლების" მოტრფიალენი მიუღებელია.
- <u>გამოცანა:</u> გატყორცნილი წვეთიდან წარმოქმნილს, სამყაროს შეცვლის პრეტენზია აქვს (ადამიანი)
- მემკვიდრეობა, რაც უფრო შორეული წინაპრისაგანაა მიღებული, მით უფრო უკეთესია.
- თუ დომინოში "ბეშის პუსტაა"–კარგი, პოლიტიკაში "ჩარის იაქე" სჯობია!
- ნული მართლა არარაობაა, თუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგოს საწყისი?
- სიბერეს უჩივი? – მაშ ვერ ყოფილხარ კარგი კაცი; განა სიბერე, სიბრძნისა და დაგროვილი სიკეთის საზომი არ არის?
- "განმეორება ცოდნის დედაა" და უცოდინრობის დაუძინებელი მტერი!!!
- ეს ის წიგნია, რომელშიც ფურცლებს დანომვრა არ ჭირდება და ერთმანეთის .მიმართ გადანაცვლებით აზრი არ იცვლება.
- ტესტირება – უცოდინრობის ცოდნად გამოცხადების ტექნოლოგიაა!!!
- ვიცოცხლებ მანამ, სანამ ჩემი აზრების უკანასკნელი წამკითხველი იცოცხლებს.

- რაც უფრო შევშინდებით, მით უფრო დავკნინდებით!
- ვინც წარსულს მისტირის, მომავალს ვერ ხედავს.
- მადლიერებას ფრთები აქვს, უმადურობას ფესვები.
- თუ გუთნისდედა არ ფხიზლობს, სარეველა გადაუვლის სასარგებლო კულტურას!!!
- სიახლოვისათვის განშორებაა საჭირო (ესეც ფიზიკის კანონებიდან).
- უფროსობა ის ავადმყოფობაა, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.
- არამზადა–ჩინოვნიკი, რომელიც არ არის მზად მოვალეობის შესასრულებლად!
- მოპარული დრო –საყვარელ ადამიანებთან გატარებული დრო.
- მოპარული დრო – ეს, ის დროა, რომელსაც ხარჯავ და შენ არ გაკლდება.
- ვცდილობ აზრები დროის "ქვაბში" მოვხარშო.
- წვეთით იწყება სიცოცხლე.
- დროზე ფეხის აწყობა მოკვდავთა ხვედრია.
- ამაზე უარესი – რაც გვაქვს იმის არქონა იქნება.
- თუ ახალგაზრდა ჩვენზე უკეთესად ხედავს, ნუ გვეწყინება, ბუნების კანონია.
- ადამიანში შიშზე უფრო, სირცხვილის გრძნობა უნდა იყოს შემაკავებელი.
- გაისვრი ერთ გუნდას? – მიიღებ ზვავს!!!
- სადაც სირცხვილი არ არის, იქ სიშიშვლე ჩვეულებრივი ამბავია.
- ძნელია ჭკვიან კაცთან პოლემიკა – შეუძლებელია ბრიყვთან!
- ვინც წარსული უარყო, მომავალს ძირი გამოუთხარა.
- ყველაფერი, რაც განვითარებას არ ექვემდებარება – მკვდარია!
- დროის მრისხანებას მხოლოდ კაცობა უძლებს.

- “დიდ ადამიანებს” ადგილი არ ჰყოფნის დედამიწაზე.
- ხშირად წყვდიადი უფრო საინტერესოა, ვიდრე ნათელი.
- ყოველი ადამიანი ვარსკვლავია, ვინ როგორ ანათებს, ეს დამკვირვებლის შეფასებაა.
- საერთოდ ვარსკვლავები ღამის წყვდიადში ამჯობინებს ყოფნას, თუმცა ზოგიერთი რეალურ სამყაროში მზის ბრწყინვალებაზე უკეთესად კაშკაშებს.
- ბუნებაა ყველაზე დიდი ხელოვანი.
- დაბადებაა ბუნებაში ყველაზე დიდი მოვლენა.
- აღმოცენებას ნოყიერი ნიადაგი სჭირდება.
- ყველა ადამიანშია გმირობის და ღალატის საწყისი, რომელი გამოვლინდეს, გარემოზეა დამოკიდებული.
- ის, რაც ფულზე იყიდება –”საქონელია” და მეტი არაფერი.
- შემართება, სიბრძნის გარეშე ბლაგვი იარაღია.
- ბედნიერია ის ვისაც სიყვარულის უდიდესი უნარი აქვს.
- ყველაფრის მორევის რა გითხრათ და ყველაფრის გაფუჭება რომ შეუძლია, ასეთი ბუნებაში ადამიანია.
- თავი რომ გადაირჩინო, თავზე მაღლა გადახტომა უნდა ისწავლო.
- დრო - ცეცხლია, არ უნდა ჩააქრო!!!
- რატომ არის გენიოსი მოვლენა?
  -იმიტომ, რომ რასაც კაცობრიობა საუკუნეებს ანდომებს მისგან იგივე საქმე ელემენტალურად წყდება.
- სიბრძნის მწვერვალიდან სიბრიყვის უფსკრულში გადაჩეხვა ადვილია, პირიქით ასვლა შეუძლებელი.
- სიბრიყვესაც თავისი “შენახვის კანონი” ჰქონია ბუნებაში და რაც უფრო დიდია, სამწუხაროდ მით უფრო დიდხანს ინახება!!!
- ჩვენ ყველანი მსახიობები ვართ და ის არის ყველაზე მაგარი ვინც თავის თავს თამაშობს მაგრად.

- ნაცარქექიას სამშობლოში ცეცხლი ჩამქრალა და ახლა ნაგვის ქექვით არიან დაკავებული.
- სანამ ვიცოცხლებ???

  - მანამ, სანამ ქართულ დამწერლობასა და ქართულ ზღაპრებს „ნაცარქექია“ ეყოლება.
- “მთავრდება ერთი ზღაპარიც,
  შთამომავალის იბერის
  ქატო იქ მრჩება, ფქვილი კი
  უკვე ქარს მიაქვს სიბერის”!
  (ომარ გვეტაძე)
- სიძველით სიამაყეს დავიწყების სურნელი დაჰკრავს.
- მთავარია თესვა, მოსავალს ყველა აიღებს.
- ჩემთვის წინააღმდეგობაა მაცოცხლებელი!
- თუკი ბუნებაში რაიმეს მუდმივობის კანონია სამართლიანი, ეს პირველ რიგში სიყვარულისთვისაა სამართლიანი.
- მხოლოდ სიყვარულს შეუძლია იხსნას სამყარო!
- წიგნი, ღვინო და ქალი არ შეიძლება იყოს ცუდი.
- ომარ ხაიამის სამი ხატება ჩემთვის ასე გამოიყურება: წიგნი, ღვინო და ქალები.
- ჭეშმარიტება არარსებული რეალობაა.
- პრობლემისაგან დამალვა პრობლემის გადაწყვეტა კი არა, მისი დაკონსერვებაა.
- თუ ქუხილს მეწყერს არ მოაყოლებ, ისე ვერაფერს დაძრავ ადგილიდან.
- განა მეწყერი და რისხვა განგების უღმერთობა არ არის?
- უმწეობაა ჩხუბის მიზეზი.
- მძიმეწონოსანი ან კიდევ ეკლიანი უნდა იყო, რომ ვინმეს ხელწამოსაკრავი არ გახდე.
- უფუნქციობაა ტვინის გაჭივრება.
- კაცობა – ცათამბრჯენზე დიდია

- ყოფილი კაცი არ არსებობს, რასაც სიკვდილის განაჩენი აქვს ის კაცი ვერ იქნება!
- ამ სამყაროში კაცობა და სიყვარულია მარადიული!
- ნუ ელოდები, დრო არ არსებობს უკეთესი.
- მიუწვდომელია – მიუღებელი!
- აზრი ჩემთან სტუმარია, თუ ვმასპინძლობ, ზეიმია.
- მთავარი სიტუაციის ფლობა კი არა, მისი მართვაა.
- დამწერლობის შემქმნელმა სიცოცხლის ახალი ფორმა შექმნა.
- პატიოსანი კაცისათვის შებრალებაა შეურაცყოფა.
- ყველას გიგანტური აღმოჩენები იზიდავს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ყველაფრის საფუძველი ელემენტალურში რომ იმალება. არადა, საერთოდ პატარა ატომებით არის აგებული გიგანტური სამყარო.
- სამარშუტო ტაქსში ვაჟმა გოგონას ადგილი დაუთმო და თხოვა დამჯდარიყო, რაზეც გოგონას პასუხი იყო: - "ოცნებობ, ზემოდან დამყურებდე"?
- ყველაზე ადვილი იმ საქმის კეთებაა, რომელიც არ იცი,-"შეცდომა"არ მოგივა.
- მეოთხე განზომილება რომ დაინახო, ერთდროულად სამი თვალით უნდა იხედებოდე.
- რამ გადაარჩინა საქართველო?
  -ტრადიციებმა.
  რა დაღუპავს საქართველოს?
  –ტრადიციად ქცეული უზნეობა და ურწმუნოება!!!
- უსამართლობაა კიდევ უფრო დიდი უსამართლობის მშობელი!!!
- ღმერთი მაპატიებს, თუ ზოგიერთის "სიდიადე" ვერ დავინახე.
- ვარგისიანობის გამომცდელი დროა!!!
- რა არის სიყვარული?
  -სიგიჟე!!!

- რა არის სიგიჟე?.-ენერგიისა და აზრების არაადექვატური გამოვლენა. (სიგიჟე-გამბედაობაა აღმატებულ ხარისხში).
- ჭკუა ადამიანის გაუცნობიერებელი ორგანოა, რომლის დანახვა გარეშე თვალს შეუძლია.
- სისწრაფის მიხედვით თუ მივანიჭებდით გამარჯვებას, მაშინ სიბრიყვე სიბრძნესთან შეჯიბრებაში გამარჯვებას მიაღწევდა, რადგან ის ყოველთვის წინ უსწრებს სიბრძნეს.
- თუ მოქმედება საშიშია, რომ ბუმერანგივით არ დაგვიბრუნდეს უკან, უმოქმედობა კიდევ უფრო საშიშია, რადგანაც ის უფრო ადრე დაგვხვდება წინ.
- "ჩვენი ბედიცა და მსოფლიო ისტორიაც ერთი და იმავე ხელით არის დაწერილი"

(პ.კოელიო)

- საქართველოში ყველა მენეჯერია, –ყველას სხვისი ხელით უნდა საქმის კეთება.
- ყველაზე დიდი უნარი – გიყვარდეს ადამიანი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – უყვარდე ადამიანებს.
- ცარიელ სათავსოებს შორის ყველაზე უვარგისი ცარიელი თავია.
- გონიერი კაცი დახუჭული თვალებითაც ხედავს, კი არ დადის.
- ტანჯულის მანტია გამჭვირვალეა მასში სიყალბე ვერ დაიმალება.
- ადამიანი რაც უფრო დამოუკიდებელია, მით უფრო დამოკიდებულია.
- ადამიანები ამქვეყნად შრომისა და ტანჯვისათვის არის გაჩენილი, ხოლო პოლიტიკოსები ამ სატანჯველის შესაქმნელად!!!
- კაცობა ის საზომია, რომლის დაკარგვა შეიძლება, პოვნა არა.

- კაცობა გაცნობიერებული პასუხისმგებლობაა.
- ადამიანები თავის უმწეობას ღმერთს აბრალებენ.
- სისტემის მდგრადობას მასში დამალული არამდგრადობა განსაზღვრავს.
- პრინციპულობა აზრით იზომება, ჯიუტობა უაზრობით

სათქმელი

”პირზე მომდგარსა სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა?”
(ხალხური)

- რა არის აზრი, თუ არა იუმორი.
- სიყვარული-უნაზესი, უფაქიზესი, უსპეტაკესი გრძნობაა!!!
- ვისაც მიაჩნია, რომ თავისი სათქმელი უკვე ნათქვამი აქვს, ის მკვდარია.
- ადამიანის ღირსება მის მეორე ცხოვრებაში ვლინდება.
- მხოლოდ სულელს შეუძლია დაიჯეროს ყველაფერი და ლაპარაკობს ყველაფერს.
- “ჟამი” და “წუთი” არის ამქვეყნიური რაობის საზომი.
- ათასი სიამოვნება ერთი წყენით იწონება.
- პირადი ცხოვრებაა ზრდილობისა და პატიოსნების სარკე.
- მწყერის გარდა ყველა ფრინველი ცდილობს ზემოდან, დამჯდარმა უყუროს დედამიწას. არადა ზემოდან ჭიანჭველებივით მოჩანს ადამიანები.
- პოლიტიკოსებისათვის სხვის კეთილდღეობაზე ზრუნვა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის მოგვარების შემდეგ იწყება.
- როცა ადამიანს რაიმეს ჩუქნიან საზღაურად მინიმუმ სიყვარულს იღებენ.
- უმწეობის საკომპენსაციოდ ბილწსიტყვაობა არ გამოდგება.
- მე არ ვიცი დედამიწაზე კიდევ თუ აქვს ვინმეს ისეთი სიბრძნე როგორიც “დედა ენა”-ა.
- რა მრუდე და დაუნდობელია ეს წუთისოფელი.

- ცუდია თუ სიყვარული მხოლოდ საუბრის თემაა და არა აზრი ცხოვრებისა.
- უკვდავების ყველაზე დიდი წყარო, ყველაზე დიდი წამალი–არის სიყვარული.
- სიყვარულის მინიმუმი ნებისმიერ სხვა მაქსიმუმზე დიდია.
- ჩემს შემდეგ ჩემს ადგილს ჩემი ოპტიმიზმი დაიჭერს.
- კაცი, კაცად რჩება ყველა დროში.
- პატიოსანი კაცი მისივე მორალის ტყვეა.
- მორწმუნოება ადამიანის მოქმედების ზნეობრივი ნორმაა, მისი საქციელის საზომია.
- სიბრძნესა და სიბრიყვეს შორის უფსკრულია, რომლის ამოსავსებადაც ღმერთმა ადამიანი შექმნა.
- ახლომხედველობას ქართველმა კაცმა სიბეცე დაარქვა.
- გარეშე დაწოლა სისტემას ვერაფერს აკლებს, მის ნგრევას მხოლოდ შიგა ძალები იწვევს.
- მე ამქვეყნად ჩემი სურვილით არ მოვსულვარ და ამ ქვეყნიდან არც წასვლა იქნება ჩემი ნება.
- მე ამ ქვეყანას შემოვრჩები, იმ ქვეყნად მხოლოდ მდგმური ვიქნები.
- განა სწორია? თუ არ დაკარგე ისე არ ეძებ.
- პრობლემას კი არ უნდა დაუპირისპირდე არამედ მისი გადაწყვეტის გზა უნდა მოძებნო.
- ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა, მისი უმეცრების გაცნობიერებით მთავრდება.
- ერთი წინადადების დაწერას შეიძლება მთელი ცხოვრება არ ეყოს.
- ქართული ბუნება–ამარჯვებენ სუსტს, ძლიერი ისედაც გამარჯვებულია.
- ოჯახი–ოოო ჯახი, თაობათა ჯახი, შესაძლებლობისა და ინტერესების ჯახი, ზოგჯერ გრგვინვა მაგრამ ბოლოს ნათება და ნანატრი ბედნიერება.

- ადამიანის ბუნება–იმდენი კი არ მაქვს, რომ მეტი არ მინდოდეს.
- ადამიანი მასზედ უკეთესს ამ სამყაროში ვერ შეეგუება.
- ადამიანის უმწეობის ინტერვალი დაბადებით და გარდაცვალებით შემოისაზღვრება.
- შეგონება–დრო ცეცხლია, არ ჩაგიქრეს!!!
- პოლიტიკა-შესაძლებლობის რეალიზების ხელოვნება.
- პოლიტიკაა ის გაუგებრობა საიდანაც წასვლას უფრო მეტი მხარდამჭერები ჰყავს ვიდრე მოსვლას.
- ხარ საჭირო, თუ მხოლოდ სა–"ჭირო", "საკითხავი აი ეს არის".
- დიდება მთაა და შენ მუჰამედი უნდა იყო , რომ მას მიუახლოვდე.
- წლები ტვირთია, რომელსაც ღვთიური საქმე ამსუბუქებს, ხოლო ეშმაკისეული ამძიმებს.
- სამყაროს სიბნელეს ვარსკვლავთა სიკაშკაშე ვერ შველის.
- დღე რომ ღამეს არ ეყრდნობოდეს ისე ბნელს ნათელი ვერ შეცვლიდა.
- სიყვარული უდრის თავგანწირვას.
- ზნეობრივი ადამიანი ვერაფერს დაიკიდებს ფეხებზე, რადგან მას არ შეუძლია უმნიშვნელო უზნეობის აწევაც კი.
- ნურაფერს მოვთხოვთ დროს, მოთხოვნები საკუთარ თავს დავუყენოთ.
- მხოლოდ სიცარიელეს შეუძლია შთანთქოს ადამიანი.
- არსად ცოდნას არ იძლევიან, ცოდნა ის განძია, რომელსაც ვერსად ვერ იპოვნი, ვერ შეიძენ და რომელიც უზარმაზარი, მუხლჩაუხრელი, სისტემატიური, დაუღალავი შრომით უნდა მოიპოვო!
- ხომ ლამაზია ცისარტყელა, მაგრამ მხოლოდ მზეს შეუძლია მისი გაბრწყინება.

- <u>შეკითხვა</u>: -რას იზამდი ხელახლა რომ დაბადებულიყავი?
  –მთელ ჩემს სიცოცხლეს სიყვარულში დავხარჯავდი.
- “და წუხს წიგნი მაგიდაზე, ბოლო დღეს რომ გადაფურცლე”

/ზ. ებანოიძე/.

როცა მეძინა

- დიქტატორი მხოლოდ დროულად გარდაცვლილებს წყალობს.
- ბედნიერი ხარ თუ შენს გონების ჩირაღდანს მოკაშკაშე ვარსკვლავის ანთება შეუძლია.
- ადამიანები უკვდავებაზე ფიქრის ცეცხლში იფერფლება.
- ცხოვრების გზაზე ორჭოფობამ, ("კი" და "არა")-მ, შვა იგავ-არა-კი.
- ვაზი, ოჯახი და სამშობლო ის ღვთაებრივი სამებაა, რომელსაც ეყრდნობა საქართველო.
- გავჩნდებით თუ არა მას შემდეგ ყველაფერს ღმერთს ვავალებთ და ყველაფერს მისგან მოვითხოვთ.
- "გიყვარდეს მტერი შენი", რამეთუ რაც უფრო მეტია მტერი მით უფრო მაგრად ხარ.
- რაც უფრო დიდია გარეშე დაწოლა, მით უფრო მდგრადია სისტემა.
- წესრიგი მართავს სამყაროს და არა ქაოსი.
- საპრეზიდენტო ისტორიაში შესასვლელად არც მხოლოდ ანთებული გული და არც "მდიდარი სექსუალური" გამოცდილება არ არის საკმარისი.
- ერის უბედურებას ფულის საშოვნელად წასული დიასახლისი წარმოადგენს.
- გადახტომის წინ თამასა რეალურ სიმაღლეზე მაღლა არ უნდა დააყენო.
- ომი, მესიის ავადმყოფობით შებყრობილი პოლიტიკოსის საკაცობრიო დანაშაულია.
- <u>ქართული ხასიათი</u>: ვჩქარობთ იქ, სადაც არ არის საჭირო და ვჩერდებით იქ, სადაც უნდა ვჩქარობდეთ.
- ის, რაც სიყვარულით არ კეთდება, საქმედაც არ ითვლება.
- სხვა ვერაფერს მომატყუებდა, რომ ჩემი თავი არ მატყუ-

ებდეს.

- ❖ ადამიანებს მოწონს, რომ მის ღირსებებს აღიარებენ.
- ❖ მხოლოდ ცხოვრება თუ გახედნის ადამიანს.
- ❖ მხოლოდ ცოდნის იარაღით შეიძლება საქართველოს გადარჩენა მესამე ათასწლეულში.
- ❖ თუ ფეხბურთში მოტყუებაა მოგების საწინდარი, პოლიტიკაში პირიქით.
- ❖ სამართლიანობის ნიმუშად მათემატიკა გამოდგება, ყველა განტოლების ამოხსნა ნულთან გატოლებით იწყება.
- ❖ <u>შეკითხვა:</u> რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი? –გარდაცვალებამდე სირცხვილით სიწითლის უნარის შენარჩუნებამდე, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, სანამ მისი ნაკეთები საქმე.
- ❖ ორი სიცოცხლე აქვს ადამიანს: პირველი დაბადებიდან ადამიანური სისუსტეებით დატვირთული, ხოლო მეორე ადამიანური სიკეთეებით დატვირთული, გარდაცვალების შემდეგ რომ ინახება.
- ❖ ადამიანთა ცხოვრება ფიზიკურ და სულიერ ნაწილებად იყოფა, პირველი დაბადებითა და გარდაცვალებით შემოიფარგლება, ხოლო მეორე დაბადებიდან იწყება და შენს ხელშია მისი ხანგრძლიობა.
- ❖ მათემატიკა უდიდესი მეცნიერებაა, ხოლო ფიზიკა მეცნიერებათა მეცნიერება.
- ❖ მთავარი ის კი არ არის, რას აღმოაჩენ, არამედ ის, რომ აღმოჩენისათვის საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე.
- ❖ რაც მეტია ნათესი, მით უფრო მეტია სარეველა.
- ❖ სიბერე – ახალგაზრდობაში ნაკეთები სიკეთის ნაყოფით ტკბობაა.
- ❖ შეუძლებელია ცუდის გაკეთილშობილება, ადვილია კარგის გაფუჭება.
- ❖ ადამიანმა თუ მოინდომა, არა მხოლოდ ზღვას, ოკეანე-

საც კოვზით ჩაყლაპავს.

- ❖ ადამიანის ცხოვრება მიამიტობასა და სიბრძნეს შორის არის მოქცეული.
- ❖ როდის ვიყავი მიამიტი? – არ ვიცი. შევძლებ კი სიბრძნის ტვირთის აწევას? – განგების გადასაწყვეტია.
- ❖ იქნებ ის არის სიზმარი, რასაც ჩვენ ცხადად მივიჩნევთ?
- ❖ შემოქმედებაა მოაზროვნის შთამომავლობა.
- ❖ "როცა მეძინა, ვფიქრობდი, რომ მეფე ვიყავი, გავიღვიძე და .... იქ დამთავრდა ჩემი იგავი" (უილიამ შექსპირი; 87-ე სონეტი. თარგ. ირმა ქურასბედიანის).
- ❖ ადამიანი რომ იბადება, უღელი და ჯვარი თან მოყვება, უღელი მიწიერი ხოლო ჯვარი სულიერი ტვირთის საზიდად.

ბაბნეული ფურცლებიდან

- სიყვარული – აზრი არსებობისა!
- სიამოვნების ექსტაზში საღი გონება იკარგება.
- ამოვხსენი საქართველოს გადარჩენის საიდუმლო; განათლება და უცხოს მიმართ შემწყნარებლობა და მზრუნველობა.
- პოლიტიკა– ხელმოცარულთა თავშესაფარი.
- ძალა დამანგრეველია, შენების დუღაბი სიყვარულია.
- ძილში შესაძლოა ცხოვრებაც გაგვეპაროს.
- სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკეთები საქმეებით იზომება.
- არის თუ არა ტოლობა მათ შორის, ვინც ყველაფერი იცის და ვინც არაფერი იცის? – მათემატიკურად არა, ფილოსოფიურად კი.
- ვინც წარსულს ივიწყებს მომავალს ვერ ხედავს.
- როცა ღმერთთან შიშის გამო მიდიხარ, ეგ ვერაფერი რწმენაა.
- დრო ბრუნვაა, პროცესის საზომია.
- ღირებულების საზომი დროა.
- დრო – ღმერთია, თავისი "სასწორით" დადის.
- მე ზეციური ვყოფილვარ თურმე. *(იუსტიციის სახლში ჩემი დაბადების დამადასტურებელი დოკუმრნტი არ აღმოჩნდა, რამაც გამახსენა, ბავშვობაში მშობლების ნათქვამი, "ჩემი ზეციური წარმოშობის შესახებ")*
- სიყვარული მრავალწახნაგოვანი უნარების და შესაძლებლობების ერთიანობაა.
- ნული დამოუკიდებლად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ სხვა ციფრების შემდეგ მნიშვნელოვნად ცვლის, როგორც თავის ისე იმ სხვის წონას.
- კაცობა უნარია, სიყვარული უნარია, ამ უნარების შენარჩუნება კი – მარადისობაში გადასვლა.

- მარადისობა დროით აღარ იზომება.
- მარადისობა სულიერების ეტალონია.
- კაცმა არ იცის, დუმილში რა საიდუმლოა დამალული.
- ზოგჯერ ადამიანი იდუმალ სათქმელს ნერწყვის გადაყლაპვით ამბობს.
- ფული ხორცის ტრანსპორტია, სულის ტრანსპორტი კი ღვთიური გონება!
- სიმდიდრე ფულიერება კი არა, სულიერებაა.
- სიძლიერე, ძალა კი არა გონიერებაა.
- ვისაც მიაჩნია, რომ მისთვის ყველაფერი უნდა "მოდიოდეს" – ასეთი ადამიანი პოლიტიკაში, ვერ უნდა მოდიოდეს.
- სახელმწიფო, სახელმწიფეობრივად მოაზროვნე პოლტიკოსების გარეშე ვერ აშენდება.
- რა სამწუხაროა, რომ მმართველობითი სისტემა ხელთანაა დაკავშირებული და არა თავთან ("ხელ-მძღვანელი", "ხელ-მწიფე", "ხელის-უფალი").
- რა ანადგურებს ადამიანს? – სიძულვილი;
  რა აძლიერებს ადამიანს? – სიყვარული.
- სიცოცხლის ხანგრძლივობის ანგარიშისას დღე, როდესაც არავის მოფერებიხარ, შენად ნუ მიითვლი.
- სიყვარული გალაქტიკაზე უფრო მოკაშკაშე სამყაროა და ბედნიერი ხარ, თუ ამ სამყაროს თუნდაც ერთი შემადგენელი ელემენტი ხარ!
- დაბადება და გარდაცვალება ჩვენი საკუთრება არ არის, ჩვენ მხოლოდ ამ შუალედში შეგვიძლია ჩვენი თავი ვაჩვენოთ.
- რწმენა – საქციელის საზომია!
- – დაცემული ააყენე!
  – ფეხზე მდგომს გვერდით დაუდექი!
  – სუსტი გააძლიერე!
  – ძლიერს აღმაფრენისათვის ფრთები შეასხი!
- რაც უფრო ცოტა იცი, მით უკეთესია, – ნაკლები პრობ-

ლემები გაქვს.

- მიზანი, რომელსაც მწვერვალზე არ აჰყავხარ, მიზნად ნუ ჩათვლი.
- დავიწყების შიში, მონატრების სურვილს აძლიერებს.
- იმ დროს, როდესაც მუჭში კვერცხის გატეხვა ვაჟკაცისათვის პრობლემას წარმოადგენს, უმწეო წიწილასაგან შიგნიდან მისი გატეხვა უპრობლემოდ ხდება.
- უსასრულობა არ არსებობს, ყველა პროცესს თავისი საწყისი და ბოლო წერტილი აქვს.
- ტელეპატიურად მოაზროვნე, ჩვეულებრივი ადამიანისათვის "კრამიტდაჩოჩებულად" გამოიყურება.
- აწმყო უძრავია, წარსული და მომავალი, დროში სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი პროცესებია.
- თუ შვილს, ბავშვობაში ფიზიკურ დატვირთვას უმსუბუქებ, იცოდე მომავალში სულიერ ტვირთს უმძიმებ!
- მწუხარებაც და სიხარულიც – ცრემლით იზომება.
- ძლიერი ის კი არ არის ვინც დროს აყვა, არამედ ის ვინც დრო თვითონვე შექმნა!
- საზოგადოების აზრი: პონტი პილატმა ხელები დაიბანა.
- ჩემთვის ერთადერთი, რაც არაფერზე არ ხურდავდება – სიყვარულია!
- ყველაზე დიდი სიღარიბე ადამიანისათვის –უსიყვარულოდ ცხოვრებაა.
- <u>მოწოდება:</u> შეიარაღდით სიყვარულით! –ფარიც და მახვილიც სიყვარულის აისხით!!!
- ყველაზე დიდი სასჯელი ადამიანისათვის, უსამართლობის იძულებითი თმენაა!
- როგორ ცხოვრობთ? – რა გითხრათ, ვახურდავებ ღმერთისგან ნაჩუქარ წლებს თვეებზე; თვეებს, კვირეებზე და დღეებზე; დღეებს – საათებზე; საათებს წუთებზე და წუთებს, "წუთისოფლის" ხურდაში დარჩენილი – "წამებით".

(ვცხოვრობ" წუთისოფლის" ხურდაში
დარჩენილი "წამებით").

დიდად მარგი სიტყვიერება

ისევ მომიწია პეტრე გელხვიიძის მშვენიერი სიტყვიერების წაკითხვა, ისევ ვიმოგზაურე გონიერი ადამიანის გონებაში, ვიმოგზაურე ნელ-ნელა, დაფიქრებით, დაკვირვებით, საკმაოდ დიდი გზის გავლა, მიუხედავად დროის გახანგძლივებისა, არ აღმოჩნდა დამღლელი, პირიქით, „წონაშიც“ მოვიმატე და სისავსე ვიგრძენი.

ადრეული მოგზაურობანიც გამახსენდა, ადრინდელი სიხარული - პეტრე გელხვიიძე რომ გავიცანი და მისი ჩანაწერები. სხვადროინდელმა ურთიერთობებმაც ამოჰყვეს თავი, ავტორიც იზრდებოდა და მისი „მძივებიც“.

პეტრე გელხვიიძეს უაღრესად გაუშინაურდა ფიქრის ხელოვნება. იგი ბევრს ფიქრობს და დეპეშურად წერს. ეს დეპეშები შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დააგზავნო, ნებისმიერ ენაზე თარგმნო. ყველგან იგრძნობს ადამიანი, რაოდენ იოლია პატარა დედამიწაზე, ერთმანეთს ხმა მივაწვდინოთ, განსაკუთრებით კი პეტრე გელხვიიძემ იკისროს ამ ხმის ახმამაღლება, ორიოდე სიტყვით რომ აწესრიგებს ჩვენს გამრუდებას, ჰქმნის ადამიანურად ყოფნის სამართალს. სამართალს, რომლის მღაღადებლად არაერთი კეთილშობილი პიროვნება გარჯილა და მათივე გზას ადგას მათივე გენებით ცოცხალქმნილი ჩვენი თანამედროვე.

აქვე გამოგიტყდებით - ვერ შეველიე ადრინდელ შთაბეჭდილებებს, ადრინდელ ჩემს ვიწრო ნაწერებს. ისევ იგივეა ჩემი განწყობა, ისევ იგივე გულისცემას იჭერს ჩემი ანტენა, ამიტომაც არ ჩავთვლი განმეორებას ჩამორჩენილად და უმწეოდ. მითქვამს ადრე:

ეს პატარა წიგნაკი გასაოცარი გულით ფეთქავს. მისი მრავალი კუთხე-კუნჭული იმდაგვარადაა განათებული, რომ გონიერი არსად გაიხლართება, ხოლო უგუნური ამაოდ და-

იწყებს თვალების ცეცებას; თუმცა ოდნავ მაინც რომ წაუბიძგოს თავს, იქნებ ცოტა ხნის შემდეგ თბილი შეცბუნება იგრძნოს ბრძნული შემოხედვებისაგან და გაუცოცხლდეს მკვდარი უჯრედები.

ამ სენტენციების ავტორი, პეტრე გელხვიიძე, არა მხოლოდ დახელოვნებული ჩანს აფორისტულ თქმათა გამოძერწვა-გაჩარხვაში, არამედ მთელ სულსა და გულს ჯაფავს ხოლმე თითოეული სიტყვის მოძებნისას, ზუსტად თავის ადგილზე რომ ჩასვას იგი. ზუსტად განლაგებულ სიტყვებს კი დიდი ენერგიით ძალუძთ ალაპარაკება და ზემოქმედება. ამ ენერგიებს ზვავად მოაქვთ ტკივილიცა და სიყვარულიც, სითბოცა და აცივებაც, კიდევ ბევრი რამ, ლაღად მიშვებულ ადამიანს რომ შეაყოვნებს, დააფიქრებს, აიძულებს გალანდოს თავისი არსი ამქვეყნად მოვლინებისა, სიფრთხილით წაიკითხოს თავისივე ყოველდღიურობა.

პეტრე გელხვიიძის ბრძნული თქმანი, შეგონებანი ოსტატური ეფექტურობითაა დაწერილი. ყოველი სიტყვათკავშირი ნედლად ფეთქავს, წვენი გამოედინება მათ სიცოცხლის, საერთოდ ცხოვრების მრავალფეროვნებისა. ისინი ზოგჯერ დინჯად გამოიყურებიან, ზოგჯერ კი შოლტის სისუსხით ამძლავრდებიან, ფხიზლობენ და მკითხველსაც არ ანებებენ მიძინებას.

ვის არ ვურჩევდი ამ აზროვნებასთან თანაზიარებას! ბარეორს, ძალიან ბევრს! უფრო და უფრო ბევრს! არავის აწყენს ჭკვიანი კაცის ნათქვამისადმი ყურისმიგდება, თანაც ისეთი ჭკვიანისა, რომელიც აბობოქრებულია სიკეთით სიყვარულით, მშობლიური ტკივილებით, უკეთესი დილის მოლოდინით, თანამოძმეთა ჩასვენებული სულის გამოღვიძებით და, საერთოდ, ჭეშმარიტი ადამიანურობის, ეროვნულობის შეგრძნებებით სურს გაითანგოს მთლიანი საჩვენო!

ან:

ბატონ პეტრეს თავისი “კანონი” აქვს მძივებთან მისასვლელად – ორნამენტული ფიქრი. მასში თავმოყრილია

თვალის მრავალგამზერილობა. ასეთი იშვიათი სპექტრების სახე უზარმაზარ გონებას ფლობს. მას მხოლოდ თითო – ოროლა ცოცხალი უჯრედის მოიმედე არსება ვერც მოიგონებს და, მით უმეტეს, ვერც გახსნის. ასეთი ხელოვნების "მიგნება" და "წაკითხვა" უმეტესობისათვის შორეული ხილია, ხოლო ნიჭმომხმარებულთათვის – სიამოვნება. ეს უკანასკნელნი კარგად თქმულსაც აქებენ და მთქმელსაც, თუმცა უფრო შორს, "ჭიშკარს" იქით გახედვა ეუჟმურებათ. არადა, იქით – ხელოვნების ქუჩაშია სწორედ გამართული ზეიმი კაცის, ადამიანის მიწისძვრისთვის; ძალა უვარგისისა და უმაქნისის საპირისპიროთი ჩამნაცვლებელი. როგორც ჩანს, გონებამ კარგა მანძილით გაასწრო ადამიანის პირველყოფილად შემორჩენილ სხეულს! ნეტამც, ყველას ისე "დაგვრიგებოდეს ჭკუა", ავტრუებულიყავით თქვენი მძივების შესაფერად, ბატონო პეტრე!

ან:

ბატონო პეტრე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ ყური არ უნდა გაგარიდოთ. თქვენი ყველა აზრი აუცილებლად გასათვალისწინებელია. ისინი რამდენადმე გვაწესრიგებენ და არ გვზღუდავენ, შეიძლება ითქვას, გვისალაშინებენ გზას და გონებასაც, გვაფრთხილებენ კიდეც. თქვენი აზრები დიდებული მეგზურები არიან და ჩვენ უნდა მივდიოთ მათ. თითოეული მათგანი რჩეული წიგნის ტოლფასია...

ჩემთვის არაა მობერებული ეს მოსაზრებანი. ისინი ამჯერადაც მიესადაგებიან პეტრე გელხვიიძის შემოქმედებით სულს, მის ფიზიკასაცა და მეტაფიზიკას. ამგვარად იხატება, იძერწება და ფეხს იდგამს ჩემში ამ უნიჭიერესი ადამიანის სიტყვიერი ჰოროსკოპი,რომელიც ყოველდღე მუშაობს ჩემთვის, შენთვის, იმისთვის...

ამ ჰოროსკოპის გარეშე ყველას გაგვიჭირდება ისედაც წუთიერ სოფელში ჩვენი თავის ადამიანად მონიშვნა.

გია ხოფერია

❖

იმ შემთხვევითობით აღსავსე სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის რაღაც აბსოლუტური, ურყევი; ის, რაც საფუძვლად უდევს ცივილიზაციის განვითარებას – ეს მორალი, ზნეობაა. მათ გარეშე – ქაოსი და ნგრევაა!

სამყაროში ადამიანის როლის, ადგილის, საკუთარი თავის შემეცნება შეიძლება მხოლოდ თითოეულის ნაფიქრალის ურთიერთგაზიარებით, რადგან აზრი, რაღაც ძალის ჩარევით ჩნდება და უცებ მოიცავს მოზაიკის ელემენტების მსგავსად დაბნეულ, თითქმის ურთიერთდაუკავშირებელ მოვლენებს. ამას მოწმობს ის, რომ ყველა დიდი მეცნიერი, თავიდანვე თუ არა, მრავალი წლის შემდეგ მაინც მიბრუნებულა ფილოსოფიისაკენ, დაუწყია ფიქრი უძველეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე –რა არის ადამიანი და როგორი უნდა იყოს ის კაცობრიობა აღმავლობის გზას რომ დაადგეს. ამიტომაცაა ნებისმიერ რომანზე საინტერესო ლაროშფუკოს "მაქსიმები", ი.ნიუტონისა და ა.აინშტაინის აზრები ჩაქსოვილი მათ ფილოსოფიურ ნაშრომებში, რომლებიც სამყაროს უნივერსალურ კანონზომიერებებს ინტუიციით, თითქმის შემთხვევით აგნებენ მოაზროვნენი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ადამიანის თუნდაც ერთი საინტერესო აზრი გახდეს ცნობილი საზოგადოებისათვის. დასანანია, როცა აზრი გაიელვებს, გაგაოცებს, აღგაფრთოვანებს, სხვა კუთხით დაგანახებს სამყაროს და გაქრება ჩაუწერავი.

მინდა მადლობა გადაუხადო ამ წიგნის ავტორს, ბატონ პეტრეს რომ მიხვდა, მაშინ ძალიან ახალგაზრდამ, რაოდენ მნიშვნელოვანია დააფიქსირო (რომ სხვასაც გაუზიარო) ის, რაც ბუნების ძალამ უეცრად გაგიხსნა ამ სამყაროს საოცრებათა შორის. რაოდენ უცნაური მოვლენაა შემჩნეული მის აზრებში "*სამწუხაროდ, თვით ბუნებას აქვს უღმერთო კანონები – ცუდი ნერგი უკეთესად ხარობს*"! რატომ, რის-

თვვის, რა მიზნითაა ასე? რა არის ამ მოვლენაში ჩაქსოვილი? მრავალ რამეზე მიფიქრია, მაგრამ ამ უცნაურობამ, ბუნების აშკარა "ალოგიკურობამ" პირველად დამაფიქრა. მისი აზრები – სევდიანიც, სერიოზულიც, იუმორის გრძნობით აღსავსეც (მარტო ეს რად ღირს: *"ადამიანებს რა მოვკითხოთ, როცა თვით ზმნებშიც არსებობს: უპირო, ორპირი და სამპირიანიც კი"!)* და ყოველთვის მაღალზნეობრივი, დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვინც შეჩერდება, ჩაუფიქრდება, ჩაწვდება და თავისი ჭკუით ცხოვრებას ამჯობინებს სხვისი მითითებით მრუდე გზაზე სიარულს.

სვეტლანა მინდაძე

შინაარსი

ნაარზრალზე _____ 3
რაც მიფიქრია და მწამს _____ 4
საგზალი ცხოვრების გზაზე _____ 18
პატარა მძივები _____ 26
ღმერთო რამდენი ფიქრები გაქრნენ _____ 31
კარგია თუკი შეგიძლია _____ 38
სათქმელი _____ 45
“როცა მეძინა” _____ 49
გაბნეული ფურცლებიდან _____ 52
დიდად მარგი სიტყვიერება (გია ხოფერია) _____ 55
*** (სვეტლანა მინდაძე) _____ 58